

ეროვნული ბანკი 200-ლარიანი კუპიურის გამოშვებას გეგმავს

A4



გაერო "იალტის წესრიგის" დასასრულისთვის ემზადება

A5



ზემო წყნეთს დამსგავსებული "დინამო"

A6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 19 ივლისი, 2005 წელი. №162 (1022)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ხელისუფლება ახალქალაქის ქართული სკოლის დარბევის ფაქტს უარყოფს

ადგილობრივებისა და სტუდენტების შელაპარაკების მიზეზი ამ მონასტრის ქართული თუ სომხური წარმომავლობა გახდა. ინციდენტი ჩხუბში გადაიზარდა, რომელიც სერიოზული ტრავმების გარეშე დასრულდა.

A3

## ეკონომიკა

### აფხაზეთს პრივატიზაციის ტალღამ დიდი ხნის წინ გადაუარა

იმ ინფორმაციის თანახმად, რომელიც რამდენიმე წლის წინ აფხაზეთის უშიშროებამ გაავრცელა, აფხაზეთში პრივატიზაციის პროცესი ბევრად უფრო წარმატებულად განხორციელდა, ვიდრე მთელ საქართველოში.

A4

## სპორტი

### კახა ცხადაძე: "ლევადია უნდა გავიაროთ"

დღეს, 19 ივლისს, ბორის პაიჭაძის ეროვნულ სტადიონზე თბილისის "დინამო" ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით მატჩში ესტონეთის "ლევადიას" უმასპინძლებს.

A6

## რევიუ

### ცისარტყელას გამოყოლილი გამოფენა

*გუშინ ბავშვთა სურათების გალერეაში მისული დამთვალიერებელი ფერეიდნელი ქართველი ბავშვების ნახატებს გაეცნო. ღონისძიებას ამ ნახატების ავტორებიც ესწრებოდნენ.*

A7

## რევიუ

### პირველები, მეორეები... მეასეები

A8

## ამინდი

| | 19/07 | 20/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | 37 |
| ყვარელი | 30 | 31 |
| სოხუმი | 30 | 32 |
| გორი | 27 | 30 |
| ონი | 25 | 25 |
| ზუგდიდი | 32 | 33 |
| ახმეტა | 34 | 36 |
| გაგრა | 27 | 29 |
| სამტრედია | 31 | 33 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8201 |
| ევრო | 2.1976 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1808 |
| რუბლი | 0.0635 |

ამბები A 2
ამბები A 3
ეკონომიკა A 4
უცხოეთი A 5
სპორტი A 6
რევიუ A 7
სხვადასხვა A 8

# დააკვირდით ამ ფოტოებს

## ხელყუმბარის მსროლელის გამოვლენისთვის ჯილდო იზრდება













*ინფორმაციის სახეობის დაკონკრეტებასთან ერთად ჯილდოც იზრდება. 150 ათასი ლარი - ეს ის თანხაა, რომლითაც დაჯილდოვდება პირი, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ფოტოზე აღბეჭდილ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამოსვლისას თავისუფლების მოედანზე ხელყუმბარის სროლაში ეჭმიტანილის ვინაობას პოლიციას შეატყობინებს.*

10 მაისს თავისუფლების მოედანზე ხელყუმბარის სროლაში დამნაშავის დაკავებისთვის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ინფორმაციის სამართალდამცველთათვის მიმწოდებელი გუშინდელ დღემდე 20 ათასი ლარით უნდა დაჯილდოვებულიყო, თუმცა, გუშინ მნიშვნელოვანი ინფორმაციის სახეობა უფრო დაკონკრეტდა. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა სპეციალურად მოწყობილ ბრიფინგზე ხელყუმბარის სროლაში ეჭვმიტანილის ფოტოები გამოაქვეყნა და იმ პირისთვის, ვინც პოლიციას ამ პირის იდენტიფიკაციაში დაეხმარება, ჯილდოდ 150 ათასი ლარიც დააწესა.

**"ეჭვმიტანილი 25-30 წლის, 175-180 სანტიმეტრის სიმაღლის, შავგვრემანი პიროვნებაა. თითოეულ საზღვრის დაცვის პუნქტს, პოლიციის განყოფილებას თუ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს დაურიგდათ აღნიშნული პიროვნების ფოტოსურათი. მე მათ ვაძლევ განკარგულებას, რომ მსგავსი პიროვნების აღმოჩენის შემთხვევაში, იმოქმედონ ინსტრუქციის მიხედვით. იმ მოქალაქეებს, რომელთაც თუნდაც უმნიშვნელო ინფორმაცია აქვთ, ვთხოვთ, დაგვიკავშირდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელ ხაზზე,"** - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# განახლებული ქარვასლების პროექტს კარგად გააზრება სჭირდება

თამარ დვალი

*თბილისში, მდინარე მტკვრის კალაპოტში, იქ, სადაც საუკუნის წინ ზუბალაშვილებისა და შადინოვების ქარვასლა იდგა, სულ მალე იგივე სახელწოდების ქარვასლები აიგება. სამშენებლო სამუშაოები, სავარაუდოდ, ოქტომბრის თვეში დაიწყება და დაახლოებით ორ წელიწადს გასტანს. ამჟამად ისტორიული კვლევა მიმდინარეობს, რის შემდეგაც პროექტი არქიტექტურის სამსახურმა უნდა შეითანხმოს. თბილისის ახალი მერი ძველი თბილისის აღდგენის იდეას იწონებს და აცხადებს, რომ მსგავსი პროექტები მთლიანობაში უნდა იქნეს განხილული და კარგად შესწავლილი.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*ფოტოები, რომლის მიხედვითაც ორი ქარვასლისა და "ვირის ხიდის" აღდგენა უნდა მოხდეს.*

# "ორფოლოს წვრთნები ნატო-ს სტანდარტების დონეზე ჩატარდა"

ვერიკო თევზაძე

**"ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ უკვე საქმე გვაქვს სერიოზულ წვრთნებთან და იმ რეალურ ძალასთან, რომელიც შეიძლება რეალურ სიტუაციაში იქნეს გამოყენებული,"** - სიამაყით განაცხადა "24 საათთან " საუბარში პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ.

გუშინ საზეიმოდ დასრულდა 14 ივნისს ახალციხეში დაწყებული ქართველ ტანკისტთა წვრთნების აქტიური მოქმედებები. ორფოლოს პოლიგონზე ჩვენი პოლოტიკოსები და სამხედრო მაღალჩინოსნები ქართული შეიარაღებული ძალების წარმატებას ზეიმობდნენ. ამ წარმატებამ თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს შესაძლებლობა მისცა, განეცხადებინა: **"ამჟამად ყველას შეუძლია დარწმუნდეს და საკუთარი თვალით იხილოს, თუ სად და როგორ იხარჯება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი."**

ტანკისტთა წვრთნები, კოდური სახელწოდებით "ჯავშანი-2005", უპირველეს ყოვლისა, შეიარაღებული ძალების დახვეწასა და გაძლიერებას ემსახურება, მაგრამ პარლამენტარ გივი თარგამაძის აზრით, მას სხვა დატვირთვაც ენიჭება: **"ჩვენი დღევანდელი შედეგების შემხედვარე, საშუალება გვეძლევა, ჩვენს შესაძლო მოწინააღმდეგეს ვუთხრათ: მათ უნდა გააცნობიერონ, რომ ამიერიდან საქმე ძალზე სერიოზულ ძალასთან ექნებათ,"** - დასძინა თარგამაძემ.

**"აქ წარმოდგენილია ქართული არმიის შეიარაღების თანამედროვე და ახალი ტექნიკა, რომელიც ჯარისკაცებს ხელისუფლების და სარდლობის დასახული ამოცანების შესრულებას გაუადვილებს,"** - განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# აფხაზეთში ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბების სულ უფრო მეტი ნიშანი იკვეთება

*უკვე ნათელია, რომ პროსახელისუფლებო ძალების ერთიან პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა (ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ასეა). მეტისმეტად განსხვავებულნი არიან ის ორგანიზაციები, რომლებიც ალიანსში შესვლას აპირებდნენ. ამასთან, მათ ლიდერებსაც არაერთგვაროვანი ამბიციები გააჩნიათ.*

ზურაბ აფხაზავა

*სოხუმიდან*

ერთიანი პოლიტიკური პარტიის შექმნა, ჯერჯერობით, ვერც ნაციონალური ერთობის ფორუმმა შეძლო, რომელიც ყველა ოპოზიციურ პოლიტიკურ სტრუქტურას აერთიანებს. თუმცა, ამ თემაზე კონსულტაციები კვლავაც მიმდინარეობს. ცოტა ხნის წინათ გაიმართა დახურული შეხვედრა ოპოზიციური მოძრაობის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელზეც ასეთი პარტიის შექმნის პერსპექტივა განიხილებოდა. ოპოზიციის გაერთიანების საკითხში პროგრესი არცთუ ისე დიდია. კონსენსუსის მიღწევა მხოლოდ მომავალი ალიანსის ლიდერის პერსონასთან დაკავშირებით მოხერხდა. ეს არის გულრიფშის რაიონის ყოფილი ხელმძღვანელი ადგურ ხარაზია, რომელიც საკმაოდ ოდიოზურ ფიგურას წარმოადგენს. მართალია, ეს ლიდერი ოპოზიციისთვის მთლად მისაღები არ არის, მაგრამ ეს მაინც ტექნიკური საკითხია. დანარჩენ საკითხებში თანხმობა კი საერთოდ არ არსებობს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დღე მერვე

## ერთიანი ეროვნული გამოცდების დღიური

გუშინ აბიტურიენტთა ნაწილმა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება დაამთავრა. ისინი, ვინც რეგისტრაციისას მიუთითა ის ფაკულტეტები, სადაც სამი გამოცდა ბარდება, უცხო ენად კი - ინგლისური და ფრანგული ენები, აბიტურიენტთა 60 პროცენტია. 18 ივლისს ჩატარდა გამოცდა ინგლისურ და ფრანგულ ენებში. 14 საგამოცდო ცენტრში უნდა გამოცხადებულიყო 18 336 აბიტურიენტი, არ გამოცხადდა 547. დაფიქსირდა დაგვიანების 7 შემთხვევა (რეპლიკა: დინამიკა დადებითია, სულ უფრო ცოტა აგვიანებს!). სტუ-სა და ბათუმის უნივერსიტეტში ჩუტყვავილიანი აბიტურიენტები წერდნენ. გუშინ სამმა უსინათლო აბიტურიენტმა გამოცდა ჩააბარა ინგლისურ ენაში, ერთი დღეს დაწერს ტესტს რუსულ ენაში. გუშინვე გაიმართა სააპელაციო საბჭოს სამუშაო სხდომა. თხუთმეტამდე სააპელაციო განცხადება დაგვიანების და შავი ნაშრომის ჩაბარების ფაქტებს შეეხება. ამ საკითხების შესახებ გამოცდების ცენტრმა და სამინისტრომ დიდი ხანია გააკეთა განცხადება: დაგვიანებული არ დაიშვება გამოცდაზე და შავი ნაშრომი სწორდება იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი ვერ მოასწრებს გადათეთრებას.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტების გასწორებას აგრძელებს 26 რვა-რვა წევრიანი ჯგუფი. გრძელდება უნარების ტესტების სკანირება - შემოწმება.

გუშინ საზღვარგარეთიდან ჩამოსული დამკვირვებლების ჯგუფი ერთიანი ეროვნული გამოცდების პროცესს შეუერთდა. ისინი ხვალ მედიაცენტრში პრესისთვის ისაუბრებენ.

დამკვირვებლებს თავადაც აინტერესებთ, როგორ შუქდებოდა და როგორ შუქდება გამოცდები ქართულ მედიაში.

რაც შეეხება ჩვენ მიერ შეპირებულ "ჩაწყობის მექანიზმების" იდეების განხილვას, მას შემდეგ, რაც გავაბათილეთ ჰაკერების ვერსია, გთავაზობთ ხალხში გავრცელებულ მეორე ვარიანტს: გამოცდაზე უცოდინარის სახელით, გვარით და სურათით გადის მცოდნე აბიტურიენტი; მცოდნე იღებს ქრთამს, უცოდინარი ხვდება უმაღლესში, ხოლო რადიკალური ოპოზიცია კმაყოფილია: "ხომ გეუბნებოდით". ამ ვარიანტის შესაძლებლობა დამოკიდებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა კვალიფიკაციაზე - რამდენად ფლობენ ისინი ილუზიონისტების ხელოვნებას. არაკანონიერი პირადობის მოწმობის ფასი კი მსურველს საზღვარგარეთის ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში კანონიერი გზით სწავლის შესაძლებლობას მისცემს. დავამატებთ, შრომის პროცესში უფრო ჯანსაღი იდეები ჩნდება და აგრარული უნივერსიტეტის აბიტურიენტთა მშობლებს ვთავაზობთ იმ ტყე-პარკის დასუფთავებას, რომელიც მათი გულშემატკივრობის წყალობით ნაგავსაყრელად იქცა.

*24 საათი*

მოკლედ

## "ერთიან კანდიდატურებზე შეთანხმება ოპოზიციის სისუსტის გამოვლინებაა"

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი ოპოზიციის ერთიანობას დროებით მოვლენას უწოდებს და აცხადებს, რომ ერთიან კანდიდატურებზე შეთანხმება ოპოზიციის სისუსტის გამოვლინებაა. "გარდა ერთიან კანდიდატურაზე შეთანხმებისა, მათ სხვა გამოსავალი არ აქვთ, რადგან ცალ-ცალკე იმდენად სუსტები არიან, რომ "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატურებთან კონკურენციაზე საუბარიც არ არის. სხვათა შორის, მე პირადად მივესალმები მათ ერთიანობას და ძალზე მაინტერესებს, რა გამოუვათ. თუმცა, მაინც მიმაჩნია, რომ ეს ერთიანობა დროებითია," - განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა. მაჭავარიანის თქმით, ოპოზიცია პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე საუბარს უნდა მოეშვას და სხვა, უფრო სერიოზულ საკითხებზე იფიქროს. "გელაშვილის ცემის ფაქტი ზოგიერთმა ოპოზიციონერმა პოლიტიკურ ანგარიშსწორებად მონათლა. მიმაჩნია, რომ ეს საქმე სასწრაფოდ უნდა გაიხსნას და მერე, შესაძლოა, ზოგიერთი პოლიტიკოსი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდეს," - აღნიშნა მან. პარლამენტის ვიცე-სპიკერი დარწმუნებულია, რომ საშემოდგომო სესიის დაწყებისას ოპოზიციას ბოიკოტი აღარ გაახსენდება და სხდომებს დაესწრება. **მედიანიუსი**

## შეხვედრა სოხუმში

აფხაზეთის გავლით რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალის აღსადგენად მოქმედი რუსეთის, საქართველოსა და აფხაზეთის სამთავრობო კომისიების ტექნიკური ჯგუფების მორიგი სამუშაო შეხვედრა სოხუმში დღეს გაიმართება. სოხუმის შეხვედრაზე მხარეები სოჭი-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის ტექნიკურ დათვალიერებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ გეგმასა და სამშვიდობო ძალების მიერ მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესს განიხილავენ. შეხვედრაზე ქართულ მხარეს სამთავრობო კომისიაში კოორდინატორის სტატუსით, "საქართველოს რკინიგზის" ტექნიკური დირექტორი იური ჭავჭანიძე უხელმძღვანელებს. შეხვედრაში მონაწილეობას "საქართველოს რკინიგზის" წარმომადგენლები იგორ მელქაძე და ბეჟან მოლაშხიაც მიიღებენ. აფხაზურ მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოადგილე დაურ ავიძბა, რკინიგზის აღდგენის საკითხებში რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენელი ანდრეი ტულიკინი, ხოლო რუსეთის მხარეს რუსეთის რკინიგზის სამხრეთის ტერიტორიული სამმართველოს უფროსი ვალერი ბელიავსკი წარმოადგენს. **ინტერპრესნიუსი**

## პროვოკაციაზე კულახმეტოვიც ალაპარაკდა

გატაცებული ქართველების ნათესავების მიერ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გზების გადაკეტვას შერეული სამშვიდობო ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი მარატ კულახმეტოვი გარკვეული ძალების პროვოკაციას უწოდებს. "ამგვარ ქმედებას დაინტერესებული პირები კონფლიქტის ზონაში დაძაბულობის გამწვავებისთვის და სიტუაციის დესტაბილიზაციისთვის იყენებენ," - აცხადებს მარატ კულახმეტოვი. ამასთან, "სამხრეთ ოსეთის" თვითგამოცხადებული რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა განაცხადა, რომ ბოლო დღეების განმავლობაში კონფლიქტის ზონაში ვითარება უკიდურესად გაუარესდა. მან 15 ივლისს შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეების მისამართით წერილი გაგზავნა, რომელშიც წერს, რომ ქართველი სამართალდამცავები პასიურობენ და შესაბამის ღონისძიებებს არ ატარებენ, რათა აღასრულონ შერეული საკონტროლო კომისიის 22 ივნისის შეთანხმება, რომელიც ტრანსკავკასიურ მაგისტრალზე თავისუფალ გადაადგილებას ეხება. **მედიანიუსი**

## პირადობისა და ბინადრობის მოწმობის მისაღებად დაწესებული ბაჟი გაუქმდა

18 ივლისიდან ძალაში შევიდა "ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილება, რომლის თანახმად მოქალაქის რეგისტრაციის, პირადობისა და ბინადრობის მოწმობისათვის დაწესებული სახელმწიფო ბაჟი გაუქმდა. რეგისტრაციისა და პირადობის მოწმობის მისაღებად სახელმწიფო ბაჟი 2,5 ლარს შეადგენდა, ხოლო ბინადრობის მოწმობისათვის - 15 ლარს. იუსტიციის მინისტრის მოადგილის კონსტანტინე ვარძელაშვილის განცხადებით, სახელმწიფო რეესტრის ყველა ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლები გაფრთხილებულნი არიან, რომ დღეიდან მოქალაქეებს აღარ მოსთხოვონ სახელმწიფო ბაჟის გადახდა პირადობისა და ბინადრობის მოწმობისათვის. **"სახელმწიფო ბაჟის გაუქმება ხელს შეუწყობს მოქალაქეთა რეგისტრაციას და საბჭოთა სიმბოლიკანი პასპორტის შეცვლას საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით,"** - აღნიშნა ვარძელაშვილმა. **24 საათი**

ორი სიტყვით

**თბილისი.** 26 ივლისს, საქართველოს, სამუშაო ვიზიტით უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო ეწვევა. იგი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს და პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს შეხვდება. მხარეები ქართულ-უკრაინულ ეკონომიკურ თანამშრომლობასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ. წინასწარი ინფორმაციით, სახელმწიფოთა მეთაურები მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობის თაობაზეც ისაუბრებენ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ოფიციალური წერილობითი პასუხი, რომელშიც ცენტრალური საარჩევნო კომისია ხელმოწერების შეგროვებაზე უარის მიზეზებს განმარტავს, სარეფერენდუმო ჯგუფმა გუშინ მიიღო. რეფერენდუმის ერთ-ერთი ინიციატორის, ირაკლი მელაშვილის განცხადებით, ცესკო-ს ეს გადაწყვეტილება აუცილებლად გასაჩივრდება. იგი არ გამორიცხავს, რომ სარეფერენდუმო წინადადება ცესკოში ახალი ფორმულირებითაც შეიტანონ. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სამთავრობო დელეგაცია ჟენევაში 2-5 აგვისტოს გაემგზავრება. სამთავრობო დელეგაცია, რომელშიც საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და საქართველოს პარლამენტის წევრები შედიან, საერთაშორისო კონფერენციაში მიიღებენ მონაწილეობას. საერთაშორისო კონფერენცია ჟენევაში რასიზმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს მიეძღვნება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტი აგვისტოში ახალქალაქში გასვლით სხდომას ჩაატარებს. დეპუტატებს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ახალქალაქში არსებული ვითარება აინტერესებთ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის სამსახური დღეს შვიდი წლის ხდება. ამასთან დაკავშირებით, ფოთში სამხედრო ნავსადგურში, სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ოპერაციების ბაზაზე საზეიმო ღონისძიება ჩატარდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი ქუთაისში ჩავიდნენ. ისინი ქუთაისის საგამოცდო ცენტრში აბიტურიენტებს შეხვდნენ, შემდეგ კი საოლქო პროკურატურის შენობა დაათვალიერეს. "პირველ რიგში, მინდა გამოვთქვა სიხარული გამოცდების ობიექტურად და მშვიდად მიმდინარეობასთან დაკავშირებით. ამავე დროს, მინდა აღვნიშნო, რომ გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი დიდ ყურადღებას აქცევს პროკურატურის მუშაკთა მუშაობის პირობებს, და ეს ახლად გარემონტებული შენობის მაგალითზეც კარგად გამოჩნდა," - აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ. ზურაბ ადეიშვილის განცხადებით კი, ხელისუფლებამ ყველანაირი პირობა შეუქმნა პროკურატურის მუშაკებს, რათა ამ უწყებამ კორუფციას უფრო ეფექტურად ებრძოლოს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერი დავით უსუფაშვილი შესაძლოა ვილნიუსში, ამავე პარტიის წევრის, ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატის ვალერი გელაშვილის ჯანმრთელობის გაუარესების გამო, დღეს გაემგზავროს. დავით უსუფაშვილის გამგზავრება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა დასკვნას მოამზადებს ვილნიუსში სამედიცინო კონსილიუმი, რომელიც გელაშვილისთვის ოპერაციის გაკეთებაზე მსჯელობს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გალის რაიონის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, რაიონში მცხოვრებმა თითოეულმა ოჯახმა ადგილობრივ ადმინისტრაციას 120 კილოგრამი თხილი უნდა ჩააბაროს. არსებული ინფორმაციით, მისი რეალიზაციისგან მიღებული თანხა მთლიანად აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების აღორძინების ფონდში ჩაირიცხება. თხილის სეზონი გალის რაიონში აგვისტოს პირველი რიცხვებიდან იწყება და სექტემბრის ბოლომდე გრძელდება. ერთი კილოგრამის ფასი კი 2,5 ლარიდან 6 ლარამდე მერყეობს. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი**. 20-21 ივლისს თბილისში, გაერო -ს გენერალური წარმომადგენლის ოფისში გაიმართება ქართულ-აფხაზური შეხვედრა, გაერო-ს გენერალური წარმომადგენლის და მეგობარი ქვეყნების ელჩების მონაწილეობით. შეხვედრაზე მხარეები უსაფრთხოების გარანტიებთან დაკავშირებული საკითხებს განიხილავენ. ქართული დელეგაციის ხელმძღვანელია სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავა. აფხაზურ მხარეს დე ფაქტო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა უხელმძღვანელებს. **მედიანიუსი**

# დააკვირდით ამ ფოტოებს

### ხელყუმბარის მსროლელის გამოვლენისთვის ჭილდო იზრდება

პირველი გვერდიდან

მინისტრისვე თქმით, სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე მომუშავე მესაზღვრეებს, პოლიციის განყოფილებების თანამშრომლებსა და პატრულის ეკიპაჟებს დაურიგდათ პაკეტები, რომლებიც შეიცავს სპეციალურ ინსტრუქციებს იმ შემთხვევისთვის, თუ ისინი ამოიცნობენ ექვმიტანილს ან მიიღებენ რაიმე ინფორმაციას ფოტოებზე ასახული პიროვნების შესახებ.

რაც შეეხება საზოგადოებას, მინისტრი მოუწოდებს ყველას, ვისაც მოეპოვება ან მოიპოვებს ინფორმაციას ფოტოზე გამოსახული პიროვნების შესახებ, მიმართოს პოლიციის უახლოეს განყოფილებას, დაუკავშირდეს პატრულს ან შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელ ხაზზე მიაწოდოს ინფორმაცია. ინფორმაციის მიმწოდებელს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა, ჯილდოს გარდა, სრულ ანონიმურობასაც პირდება და ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერთან - **30-76-01** - ერთად, ელექტრონული ფოსტის მისამართსაც აქვეყნებს - presscenter@pol.ge.

როგორც ცნობილია, ამერიკელმა ექსპერტებმა დაადგინეს, რომ 10 მაისს თავისუფლების მოედანზე დაგდებული ხელყუმბარა საბრძოლო იყო და მოქმედებაში მხოლოდ იმის გამო არ მოვიდა, რომ მიწაზე დაცემის შედეგად კაფსულ-დეტონატორი დაუზიანდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ცოტა ხნის წინათ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა სამი ექვმიტანილის ფოტო, რომელთაგან ერთი თავადვე გამოცხადდა შინაგან საქმეთა სამინისტროში და საკუთარი უდანაშაულობა დაამტკიცა.

*24 საათი*

# ყვარელში შვილმა მამა მოკლა

*ბოლო ერთი თვის განმავლობაში კახეთის რეგიონში კრიმინალური ვითარება მნიშვნელოვნად დაიძაბა. განსაკუთრებით საგანგაშო სიტუაცია საგარეჯოსა და ყვარლის რაიონებშია. ორივე რაიონში გუშინწინ საღამოს მკვლელობები მოხდა. 21 წლის თემურ კალაშოვმა საკუთარი მამა სანადირო თოფით მოკლა. ასეთივე იარაღით ჩაიდინა დანაშაული სოფელ ნინოწმინდის მკვიდრმა, 26 წლის დავით აზარიშვილმა, რომელმაც თავისივე თანასოფლელი სიცოცხლეს გამოასალმა.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

გასულ კვირას სიღნაღის რაიონში ნაყინის გამყიდველს თენგიზ შამოიანს, ერთი ნაყინის გამო, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა თბილისელმა ზვიად მაისურაძემ ყელი გამოჭრა. მისი დაკავებმა კი სამართალდამცველებმა მაშინ მოახერხეს, როცა იგი თბილისში ბრუნდებოდა.

გუშინწინ კი, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა, ყვრალის რიონის მკვიდრმა, 21 წლის თემურ კალაშოვმა, საკუთარი მამა გურამ კალაშოვა სანადირო თოფით მოკლა. როგორც ყვარლის რაიონის პოლიციის უფროსმა ალექსანდრე ონანაშვილმა აღნიშნა, წინასწარი გამოძიების შედეგად ირკვევა, რომ მკვლელობა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. სამართალდამცველების მტკიცებითვე, მამა-შვილი კერძო პირის ფერმაში დარაჯად მუშაობდნენ და კონფლიქტი ერთმანეთთან ხშირად ქონდათ. თუმცა, ამ ვერსიას არ ეთანხმება გარდაცვლილის მეუღლე. მისი თქმით, გურამმა თავი გაჭირვების გამო მოიკლა. აღსანიშნავია, რომ მამის მკვლელობაში ეჭვმიტანილი თემურ კალაშოვი სხვადასხვა დანაშაულებებისთვის არის ნასამართლევი. სასჯელს იხდის მისი ძმაც, რომელიც ქურდობის გამოა დაკავებული **"ამჟერად მიმდინარეობს გამოძიება და დადგინდება, თუ რის გამო გაწირა სიკვდილსთვის თემურ კალაშოვმა მამა,"** - ამბობს ყვარლის პოლიციის უფროსი ალექსანდრე ონანაშვილი.

გუშინწინ საღამოს მკვლელობა მოხდა საგარეჯოს რაიონშიც. ნინოწმინდელმა 26 წლის დავით აზარიშვილმა სანადირო თოფით მოკლა თანასოფლელი, 37 წლის ბადრი შიოშვილი. პოლიციის ინფორმაციით, დანაშაულში ეჭვმიტანილმა აზარიშვილმა ბადრი შიოშვილი იმიტომ მოკლა, რომ ეს უკანასკნელი თევზსაშენი მეურნეობიდან თევზის მოპარვას ცდილობდა. **"მიუხედავად იმისა, რომ დავით აზარიშვილმა გამაფრთხილებელი გასროლა ერთხელ მოხადინა, მას ბადრი შიოშვილი არ დაემორჩილა და როგორც აზარიშვილი ჩვენებაშის წერს, ამის შემდეგ ესროლა ქურდს, თუმცა მისი მოკვლა არ სურდა,"** - აღნიშნავს საგარეჯოს პოლიციის უფროსი რამაზ ხატიაშვილი.

მომხდართან დაკავშირებით მასალების მოკვლევას კახეთის სამხარეო პოლიცია აწარმოებს. დანაშაულში ეჭვმიტანილები კი შსს თელავის რაიონული სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებიან და მათ აღიარეს ჩადენილი დანაშაული.

# დრანდის ციხის პატიმრის ბებია ხელისუფლებას დახმარებას სთხოვს

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ ტერორიზმის ბრალდებით 2001 წელს გასამართლებული და დრანდის ციხეში მყოფი 24 წლის ლევან მამასახლისის ბებია საქართველოს ხელისუფლებისაგან შვილიშვილის გათავისუფლებაში დახმარებას ითხოვს. ლევან მამასახლისის ბებიის დინარა მამასახლისის ინფორმაციით, დრანდის ციხეში მყოფი და 14 წლით პატიმრობამისჯილი ლევან მამასახლისის ჯანმრთელობის მდგომარეობა ბოლო პერიოდში უკიდურესად დამძიმდა.

მას არა აქვს არც ერთი ზედა კიდური, ამჟამად კი მხედველობის მხრივ სერიოზული პრობლემები შეექმნა და ოპერაციის გაკეთებაში დახმარებას ოჯახისაგან და საქართველოს ხელისუფლებისაგან ითხოვს. მისივე თქმით, საერთაშორისო ორგანიზაცია წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა, რომლებმაც ლევან მამასახლისი დრანდის ციხეში მოინახულეს, ადასტურებენ ჯანმრთელობის თვალსაზრისით მის უკიდურესად მძიმე მდგომარეობას. დინარა მამასახლისის განცხადებით, მან დახმარებისთვის საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრს გიორგი ხაინდრავას მიმართა, მაგრამ ჯერჯერობით მათგან დამაიმედებელი პასუხი არ მიუღია.

აფხაზმა სამართალდამცავებმა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი ლევან მამასახლისი 2001 წლის 7 აგვისტოს ბიჭვინთაში, საკუთარ სახლში მას შემდეგ აიყვანეს, რაც ამ უკანასკნელს ხელნაკეთი ყუმბარა აზაზანაში აუფეთქდა, რომლის შედეგადაც მან ორივე ზედა კიდური დაკარგა. აფხაზურმა სასამართლომ ლევან მამასახლისს ტერორიზმის ბრალდებით თავისუფლების აღკვეთა 14 წლით მიუსაჯა.

ქართველმა ადვოკატებმა ლევან მამასახლისის საქმეზე სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში შეიტანეს. სასამართლომ მისი საქმე წარმოებაში მიიღო, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოსა და რუსეთის წარმომადგენლები სასამართლოზე არ გამოცხადდნენ, საქმის არსებითი განხილვა არ შემდგარა. საქართველოსა და რუსეთის წარმომადგენლებმა მამასახლისის საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს წერილობით მიმართეს, რომელშიც ნათქვამია, რომ აფხაზეთში შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობას არც ერთი მხარე საკუთარ თავზე არ იღებს.

*ინტერპრესნიუსი*

# ჰოლანდია და შოტლანდია იურიდიულ დახმარებას გაგვიწევენ

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ეკა ტყეშელაშვილი გუშინ ერთკვირიანი სამუშაო ვიზიტით ჰოლანდიის დედაქალაქ ამსტერდამში გაემგზავრა, საიდანაც შოტლანდიაში, ედინბურგში გადაინაცვლებს. იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ეკა ტყეშელაშვილის ვიზიტის მიზანია ჰოლანდიისა და შოტლანდიის იურიდიული დახმარების მოდელების გაცნობა. საქართველოში უფასო იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა მიმდინარეობს. იუსტიციის სამინისტროში შექმნილია საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახური, რომელსაც თბილისსა და ზესტაფონში ორი ბიურო აქვს გახსნილი. ამ საცდელი პროექტის განხორციელებაში იუსტიციის სამინისტროს ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო", "აირის - საქართველო" და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ეხმარება. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, უცხოური გამოცდილება იუსტიციის სამინისტროში შექმნილ საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის საკოორდინაციო საბჭოს უფასო იურიდიული დახმარების შესახებ კანონპროექტზე მუშაობისას გამოადგება.




ორი სიტყვით

## ფინანსური პოლიცია ფოთით დაინტერესდა

ფოთის საბაჟოს სასაწყობო მეურნეობას ფინანსური პოლიცია ამოწმებს. ფინანსური პოლიცია ფოთის საბაჟოში ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე შევიდა.

შემოწმება უკვე რამდენიმე დღეა მიმდინარეობს და, სავარაუდოდ, კვირის ბოლომდე დასრულდება. არ არის გამორიცხული, რომ შედეგად რამდენიმე პირის პასუხისმგებლობის საკითხი დაისვას. ამასთან, ფოთის საბაჟოზე, ერთ-ერთ კონტეინერში, რომლის ტრანსპორტირებასაც გადამზიდავი კომპანია "მაერსკი" ახორციელებდა, ორი ავტომანქანა აღმოჩნდა. დოკუმენტაციაში კი დაფიქსირებული იყო, რომ კონტეინერში, რომელიც ფოთში ამერიკიდან ჩავიდა, საკვები პროდუქტები უნდა ყოფილიყო ჩატვირთული. უკანონოდ შემოყვანილ მანქანების შესახებ გამოძიება დაწყებულია და არ არის გამორიცხული, რომ მათ მეპატრონეებთან ერთად მებაჟეების პასუხისმგებლობის საკითხიც დაისვას, რომლებმაც, ფაქტობრივად, კონტრაბანდული მანქანების ქვეყანაში შემოყვანის უფლება გასცეს. ფინანსური პოლიციის ოპერატიული სამმართველოს უფროსის მიხეილ ხახმიაშვილის თქმით, საქმე ეხება საბაჟო წესების დარღვევის ფაქტს და აღიძრა სისხლის სამართლის საქმე კონტრაბანდის მუხლით.

ტერმინალზე აშშ-დან შემოსულია კონტეინერი, რომლებიც ასევე მოწმდება. ტვირთის მფლობელის ვინაობა უკვე ცნობილია, თუმცა ჯერჯერობით არ სახელდება. **24 საათი**

ორი სიტყვით

**თბილისი.** დედა-შვილის, რუიზან ასაშვილისა და კახა სამაშვილის მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დუშეთის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა თბილისელი, 18 წლის ალექსანდრე მიჩიტაშვილი დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, მიჩიტაშვილმა დუშეთის რაიონის სოფელ შუახევში, ამავე სოფლის მკვიდრი ასაშვილი და სამაშვილი დანით ზურგში და მუცელში დაჭრა. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის მუშაკებმა, გატარებული ღონისძიებების შედეგად, გასული დღეღამის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ამოიღეს 8 000 კოლოფზე მეტი უცხოური წარმოების უაქციზო სიგარეტი. მიმდინარეობს გამოძიება, რაც დამნაშავეების მიმართ სასჯელის სიმძიმეს განსაზღვრავს. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის ქვედანაყოფების მიერ გამოვლენილია საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევის სამი ფაქტი. სამართალდამრღვევები შპს "ევროფასადი"-ს, შპს "ევრაზია 2004"-ის და აჭარაში რეგისტრირებული შპს "იმედი XXI"-ის ხელმძღვანელი პირები არიან. სამივე ფაქტზე ფინანსურ პოლიციაში წინასწარი გამოძიება დაწყებული, რაც დამნაშავეებს გამოავლენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის ქვემო ქართლის სამმართველომ აღურიცხავი პროდუქციით დატვირთული ოთხი ავტომანქანა დააკავა. ავტომანქანები, ძირითადად, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო პროდუქციით იყო დატვირთული და თბილისისკენ მიემართებოდნენ. ყველა ავტომანქანა ტერმინალში გადაიყვანეს. ტვირთს ჩაუტარდა ექსპერტიზა, რის შედეგადაც კანონდამრღვევები 15 000 ლარით დაჯარიმდნენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** მცხეთა-მთიანეთისა და ხელვაჩაურის შინაგან საქმეთა განყოფილებების თანამშრომლებმა ხელვაჩაურის რაიონში მცხოვრები მამუკა კუცია და იოსებ ბოლქვაძე დააკავეს. ორივე მათგანი ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. კუციას პირადი ჩხრეკისას ჰეროინი აღმოაჩნდა. გუშინვე სამართალდამცავებმა ქობულეთში, სასტუმრო "ინტურისტში" დააკავეს თბილისელი დამსვენებლები: კვიტაიშვილი, კლარჯეიშვილი, ჯოხაძე, ქუტიძე და საყვარელიძე. მათ მოხმარებისათვის გამზადებული დიდი რაოდენობის მარიხუანა აღმოაჩნდათ. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციელებმა დააკავეს თბილისში მოქმედი ერთ-ერთი ცნობილი ნარკორეალიზატორი, 41 წლის გელა ფირცხალავა, რომელიც ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. შს სამინისტროს პრეს-სამსახურის ცნობით, დაკავებულისაგან ამოიღებულია 2 ნატეხი ნარკოტიკული ნივთიერება "სუბოტექსი", ხოლო მისი ბინიდან ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული 1 აბი და 4 ნატეხი "სუბოტექსი", 7 აბი "ტრამალი", და 16 აბი "რელადრომი", რომელიც მიეკუთვნება ფსიქოტროპულ საშუალებათა ჯგუფს. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა გასულ კვირას საქართველოს მასშტაბით ავტოსაგზაო მოძრაობის წესების დარღვევის 2015 ფაქტი გამოავლინეს და მძღოლები დააჯარიმეს. შს სამინისტროს პრეს-სამსახურის ინფორმაციით, ამავე პერიოდში საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს: თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე - 2; ავტომანქანის გატაცებისათვის - 1; ქურდობის ფაქტზე - 3; ხულიგნობის ფაქტზე - 2; გარყვნილი ქმედებისათვის 1 პირი. **ჯი-ეიჩ-ენი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "ორფოლოს წვრთნები ნატო-ს სტანდარტების დონეზე ჩატარდა"



წვრთნები ორფოლოში



პარლამენტარი ნიკოლოზ რურუა და ირაკლი ოქრუაშვილი.

პირველი გვერდიდან

გუშინდელ წვრთნებში მონაწილეობდა 150-მდე ერთეული ჯავშანტექნიკა, ორი "იროკეზის" ტიპის და ექვსი "მი-24" ტიპის შვეულმფრენი, საარტილერიო ბატალიონი. სწავლებებში ჩართული იყო 1300-მდე სამხედრო მოსამსახურე, რომლებსაც გენერალური შტაბის უფროსი ლევან ნიკოლეიშვილი ხელმძღვანელობდა.

პოლკოვნიკ ნიკლეიშვილის ინფორმაციით, ორფოლოს წვრთნების ხარჯები 400 ათას ლარს უტოლდება.

სწავლების სცენარის მიხედვით, ქართულ არმიას უპრისპირდება დაჯგუფება, რომელსაც დაკავებული აქვს ქვეყნის ერთ-ერთი რეგიონი. ხელისუფლება იძულებულია, რეგიონზე კონტროლის მისაღწევად სამხედრო მოქმედებები აწარმოოს. სცენარი მოგონილია, ქართველი ტანკისტების წარმატება კი - რეალური. როგორც გივი თარგამაძემ "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა, ორფოლოს წვრთნები ნატო-ს სტანდარტების დონეზე ჩატარდა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, 2006 წლის ბოლოს საქართველოს ნატო-ს სტანდარტების შესაბამისი სამი ბრიგადა ეყოლება.

# განახლებული ქარვასლების პროექტს კარგად გააზრება სჭირდება

პირველი გვერდიდან

ქარვასლა - "ქარავან სარაი" სპარსული სიტყვაა და ქარავნის სადგომს, გზისპირა სასტუმროს ნიშნავს. ასეთი ნაგებობა უძველესი დროიდან არსებობდა ყველა აღმოსავლურ ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოშიც. მეცხრამეტე საუკუნეში თბილისში 13 ქარვასლა ფუნქციონირებდა. საუკუნის გასვლის შემდეგ, კვლავ გაჩნდა იდეა თბილისში ქარვასლის ნაგებობის აღდგენისა. 1997 წელს, როდესაც თბილისში საერთაშორისო კონკურსი - "მტკვარი და თბილისი" ჩატარდა, არქიტექტორ გიგა ბათიაშვილისა და ანრი კრუაშვილის პროექტმა პირველი პრემია დაიმსახურა. ეს იყო პროექტი, რომელიც მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე ორი ქარვასლის აშენებასა და მათ შორის ე.წ "ვირის ხიდის" აღდგენას ისახავდა მიზნად. როგორც კომპანია "არსის" გენერალურმა დირექტორმა გია აბულაძემ განაცხადა, ამ პროექტის განხორციელებაზე საუბარი ჯერ კიდევ 2003 წლის მაისში დაიწყო, როდესაც საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი იყო.

**"2003 წელს პროექტის პრეზენტაცია გავაკეთეთ, რის შემდეგაც მიხეილ სააკაშვილისგან მივიღეთ სიტყვიერი დავალება, რომ ამ კუთხით მუშაობა გაგვეგრძელებინა. არქივებში მასალების მოძიების შემდეგ, მოვაწყვეთ გამოფენა, რომელმაც თვეები გასტანა და სპეციალისტების დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ამჟამად ინტენსიური პროექტირების ეტაპზე ვართ. ერთდროულად მიდის ისტორიული კვლევა, პროექტირება და მაკეტის კეთება. პროექტი მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს მოიცავს, მთლიანი ფართობი კი 3000 კვადრატული მეტრია. ეს გახლავთ ძველი თბილისის ისტორიული ცენტრის აღდგენის და განვითარების საპრეზიდენტო პროგრამის პირველი ნაწილი,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას პროექტის ერთმა ხელმძღვანელმა გია აბულაძემ. მისივე თქმით, ორ ნაგებობას, რომელიც ერთმანეთს 30-მეტრიანი "ვირის ხიდით" დაუკავშირდება, კვლავ ძველი სახელები დაერქმევა. ქარვასლებს შენარჩუნებული ექნებათ სიძველის ეფექტიც. ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ორგანიზატორები ვალდებულებას იღებენ, რომ ძველი თბილისის ერთ-ერთი ქუჩა შეაკეთონ და იერსახეც აღუდგინონ. მოლაპარაკების თანახმად, საკმაოდ ძვირადღირებული პროექტი სახელმწიფოს არც ერთი თეთრი არ უნდა დაუჯდეს. პირიქით, სახელმწიფოს ამით ერთგვარი შემოსავალიც კი გაუჩნდება.

**"მიწა, რომელიც არის მტკვრის კალაპოტში, არის სახელმწიფოს საკუთრება, ანუ ინვესტირება სახელმწიფოს მხრიდან ხდება მიწის სახით და ის მოგების შესაბამის პროცენტსაც მიიღებს. კონკრეტულ პიროვნებებს ჯერ ვერ დავასახელებ, მაგრამ უამრავი საშუალო და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელი დაგვიკავშირდა და გვთხოვა, ამ პროექტში მონაწილეობა მივაღებინოთ. ადრეც არაერთხელ გაჟღერდა ძველი თბილისის აღდგენის იდეა, თუმცა აქამდე კეთილი ნება არ არსებობდა. ეს არ არის ისეთი კომერციული ობიექტი, რომელიც დიდ მოგებას მოგვცემს. უბრალოდ, ეს არის სწორი პოლიტიკური ნაბიჯი თბილისის ისტორიული მემკვიდრეობის აღდგენისა,"** - აღნიშნა აბულაძემ.

ძველ უბანში აგებული ქარვასლები თანამედროვე ბიზნესცენტრის ანალოგი იქნება. აქ განთავსდება სასტუმროები, სავაჭრო დაწესებულებები, საგამოფენო დარბაზები, საინფორმაციო ცენტრები, ბარები და რესტორნები. აბულაძე მიიჩნევს, რომ მტკვრის ორივე მხარე ორგანულად გადაებმება ერთმანეთს. ამავე დროს, ღვინის აღმართსაც მიეცემა განვითარების პერსპექტივა. ქარვასლების სიმაღლე ოთხ, ხუთ სართულს არ აღემატება. შეგახსენებთ, რომ "ვირის ხიდად" წოდებული ხიდი, თბილისის ძველ უბანში 1870 წელს ინგლისელი ინჟინრის ორდიშის ავტორობით აიგო და იგი 1951 წელს დაანგრიეს.

ძველი თბილისის აღდგენის იდეა ახალი მერისთვისაც მისაღები აღმოჩნდა. **"თავისთავად, იდეა - რომ ახალი თბილისის ძველ თბილისთან მიმსგავსება მოხდეს, ძალიან საინტერესოა. როგორც ვიცი, პროექტი არქიტექტურის სამსახურს ჯერ არ შეუთანხმებია. რეორგანიზაციის შედეგად, ახალი კადრები მოვიდა და პროექტის დეტალურ შესწავლას ისინი მოახდენენ. მიმაჩნია, რომ მეცხრამეტე საუკუნის თბილისი ვიზუალური და ტურისტული თვალსაზრისით ძალიან საინტერესო იყო, ამიტომ მისი აღდგენა დადებით შედეგს მოგვცემს. ამასვე მოწმობს ძველი ფოტოსურათებიც. ეს იქნება, ალბათ, ერთ-ერთი ძვირი და მასშტაბური პროექტი, რომელიც კარგად გააზრებას საჭიროებს,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას თბილისის მერმა გიგი უგულავამ.

# რატომ არის ბალი სულ სხვა?

*ორი დღის წინ, კუს ტბაზე მოწყობილი "ბალი-ფართი" კომპანია "მაგთი GSM"-მა გუშინ საკუთარ ოფისში გააგრძელა და საზოგადოებას ბალი-ბარათის მნიშვნელობა უფრო კონკრეტულად განუმარტა. ანუ, ამიერიდან, სიტყვა "ბალი" "ყველაზე ქართული, მაგარი" ხილის გარდა, მაგთიკომის ახალი GSM მომსახურებასაც აღნიშნავს.*




"მაგთი GSM"-მა გუშინ საზოგადოებას ბალი-ბარათის მნიშვნელობა უფრო კონკრეტულად განუმარტა.

უკვე რამდენიმე დღეა, ტელეეკრანებზე ახალი კლიპი გაჩნდა. სიმღერის, ცოტა არ იყოს, უცნაური ტექსტი - "მინდა ბალი... მომე ბალი... ბალი სულ სხვაა..." - ჩვეულებრივი ბალის რეკლამა არ გეგონოთ. აღნიშნულ კლიპში მომღერალი ბუკა მანაგაძე წითელი და თეთრი ბლის გამოსახულებით დამშვენებულ ბალი-ბარათებს უმღერის. "მაგთიკომის" ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ამიერიდან ეს ახალი ბარათები მაგთის აბონენტთა განუყრელ ნაწილად იქცევა.

მოკლედ რომ ვთქვათ, "ბალი" ახალი GSM მომსახურებაა, რომლის გადახდის ბარათს ბალი-ბარათი ჰქვია. ბალი-ბარათი 3 ლარი ღირს, ანუ სამ ლარად შეგიძლიათ, მაგთი-ში ჩაერთოთ, იყიდოთ სიმბარათი და ბალი-ბარათი. "ბალის" ახალი ინდექსი კი 898 გახლავთ. თუმცა, "ბალის" განსაკუთრებული ხიბლი მის ორ, წითელ და თეთრ ფერსა და ხუთ სერვისშია. თეთრი ბლის გამოსახულებიანი ბარათის გააქტიურებისას დეპოზიტზე თანხა გიჯდებათ, წითელბლიანი ბარათით კი ხუთი სერვისის ყიდვა შეგიძლიათ, ოღონდ, თითო ბარათით - თითო სერვისის. ყოველ სერვისს აქვს საკუთარი კოდი, რომელიც ტელეფონში ბალი-ბარათის ათნიშნა კოდთან ერთად შეგყავთ. სერვისი №1 ნიშნავს, რომ 10 წუთისა და 30 წამის განმავლობაში შეგიძლიათ, საქართველოს ნებისმიერ წერტილში უფასოდ დარეკოთ; სერვისი №2 - 12 წუთის განმავლობაში მხოლოდ "ბალისა" და მაგთი GSM-ის აბონენტებთან დარეკავთ; სერვისი №3 - თქვენ მიერ შერჩეულ "საყვარელ ნომერზე" (რომელიც ტელეფონში სპეციალური კოდით შეგყავთ) დარეკვისას 15-წუთიანი უფასო სასაუბრო დრო გაქვთ; სერვისი №4 - 100 SMS-ს უფასოდ აგზავნით და სერვისი №5 - ანგარიშზე გიჯდებათ 8 MMS.

დაბოლოს, გაინტერესებთ, "მაგთის" ხელმძღვანელობამ უამრავი ხილიდან მაინცდამაინც ბალი რატომ გამოარჩია? **"ბალი ყველაზე ქართული და მაგარი ხილია და თანაც, ბალი სულ სხვაა,"** - განმარტავენ ახალი მომსახურების პროექტის ავტორები.

*24 საათი*

# ხელისუფლება ახალქალაქის ქართული სკოლის დარბევის ფაქტს უარყოფს

ახალქალაქის მერი ნაირ ირიციანი კატეგორიულად უარყოფს ახალქალაქში მდებარე ქართულ სკოლაზე თავდასხმის ფაქტს. "მე ამ წუთას იმ სკოლიდან მოვდივარ და იქ არავითარი დარბევა არ ყოფილა," - განაცხადა ირიციანმა "24 საათთან" საუბარში. გავრცელებული ინფორმაციით, კვირა საღამოს დაუდგენელმა პირებმა ახალქალაქის ქართული სკოლა დაარბიეს. ჩამსხვრეულია ფანჯრები, დამტვრეულია ავეჯი და ინვენტარი.

ახალქალაქის გამგებლის, არტურ ერემიანის თქმით, ქართულ სკოლაში მხოლოდ ერთი ფანჯარაა დაზიანებული, რომელიც, მისივე თქმით, "შესაძლოა დისკოთეკიდან მომავალმა მთვრალმა ახალგაზრდებმა ჩაამსხვრიეს". **"მე სკოლის დარბევის ფაქტს ვერ დავადასტურებ,"** - აცხადებს "24 საათთან" სატელეფონო საუბარში პრეზიდენტის რწმუნებული სამცხე-ჯავახეთში გოგა ხაჩიძე.

მანამდე კი, გავრცელებული ინფორმაციით, ინციდენტი მოხდა სოფელ სამსაში, სადაც ადგილობრივი სომხური მოსახლეობა მე-12 საუკუნის მონასტრის დასასუფთავებლად ჩასულ ქართველ სტუდენტთა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა ჯგუფს დაუპირისპირდა.

როგორც ჟურნალისტებს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა კახა ლეგაშვილმა აცნობა, ამჟამად ინციდენტი ამოწურულია და ქართველმა სტუდენტებმაც აღნიშნული სოფელი დატოვეს, ისინი ფოკასა და ნინოწმინდის მონასტრებში გადანაწილდნენ.

ადგილობრივებისა და სტუდენტების შელაპარაკების მიზეზი ამ მონასტრის ქართული თუ სომხური წარმომავლობა გახდა. ინციდენტი ჩხუბში გადაიზარდა, რომელიც სერიოზული ტრავმების გარეშე დასრულდა.

გოგა ხაჩიძე აცხადებს, რომ ინციდენტის პროვოცირება არც ქართველ სტუდენტებს და არც ადგილობრივ მოსახლეობას არ მოუხდენია. **"იქ უცხო ახალგაზრდების ჯგუფი იყო, არ არის გამორიცხული, რომ მათ განგებ დაძაბეს სიტუაცია. ადგილობრივი მოსახლეობა კი, პირიქით, ქართველ სტუდენტებს კარგად შეხვდა,"** - აცხადებს ხაჩიძე. "უცხო ახალგაზრდათა" ვინაობას ხაჩიძე არ ასახელებს. მისი თქმით, მათ შორის "ასევე იყვნენ" სპორტულ-კულტურული ახალგაზრდული კავშირის, ე.წ. "ჯემას" წარმომადგენლები, რომელთაც ჯავახეთში ადგილობრივ "კმარასაც" უწოდებენ.

ახალქალაქის N3 ქართულ სკოლაში დარბევის ფაქტს უარყოფს საქართველოს განათლების სამინისტროც. ამის შესახებ განცხადება სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ლევან გახელაძემ გააკეთა.

**"მესამე საშუალო სკოლის ეზოში ბავშვები ფეხბურთს თამაშობდნენ, რის შედეგადაც ფანჯრები ჩაიმსხვრა,"** - აღნიშნა გახელაძემ.

მისივე თქმით, გუშინ მართლაც ჰქონდა ადგილი შელაპარაკებას თბილისელ სტუდენტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. **"ამ დროისათვის დგინდება, თუ რა მისიით იმყოფებიან სტუდენტები ახალქალაქში,"** - აღნიშნა გახელაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

*24 საათი*

# აფხაზეთში ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბების სულ უფრო მეტი ნიშანი იკვეთება

პირველი გვერდიდან

ცხადია, მძლავრ პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბებისკენ მიმართულ მცდელობებს ხელისუფლება და ოპოზიცია კვლავაც გააგრძელებენ. პროსახელისუფლებო ძალებში ამ იდეას დღეს სხვებზე მეტად ლობირებს მოძრაობა "ედინაია აფხაზიას" ლიდერი, პრეზიდენტის მრჩეველი ეკონომიკის საკითხებში არტურ მიქვაბია. თუმცა, გაერთიანების იდეის რეალიზება ბოლო პერიოდში სულ უფრო ძნელდება. მოკავშირეებს შორის თავს იჩენს გაუგებრობები და პატარ-პატარა კონფლიქტები. ერთ-ერთ ასეთ წინააღმდეგობად იქცა გაგრის რეგიონული კრების არჩევნებში "ამცახარას" ერთ-ერთი ლიდერის, პარლამენტარ ვიტალი თარნავას დამარცხება. მას ამ არჩევნებში ხელისუფლების მხარდაჭერის იმედი ჰქონდა და სამომავლოდ, გაგრის რეგიონის მეთაურის პოსტის დაკავებას ვარაუდობდა. დამარცხების შემდეგ თარნავამ პარლამენტიდან წასვლის შესახებ დაწერა განცხადება. თუმცა, მისი გადადგომა სპიკერმა, ჯერჯერობით, არ მიიღო. თარნავას ქმედებას "ამცახარას" სხვა ლიდერები არ იწონებენ და ცდილობენ, თანამებრძოლს პარლამენტის დატოვება გადააფიქრებინონ.

ამ კონკრეტულ შემთხვევას "ამცახარასა" და ხელისუფლების მეგობრობაზე ჯერ არ უმოქმედია, თუმცა, მათ შორის ურთიერთობები ცივდება და ერთიანი სახელისუფლებო პოლიტიკური ალიანსის შექმნის პროექტში "ამცხარას" მონაწილეობა პრობლემატური ხდება. ამ მძლავრი პოლიტიკური ორგანიზაციის გარეშე კი სახელისუფლებო პარტია ძნელი წარმოსადგენია.

მეორე მხრივ, თუ ერთიანი სახელისუფლებო პროექტი "ამცახარას" გარეშე მაინც განხორციელდება, ის არა მარტო არასრულფასოვანი იქნება, არამედ აფხაზეთის პოლიტიკურ ბაზარზე "ზედმეტი მესამის" საფრთხეს წარმოშობს, რამდენადაც "ამცახარა" საკმაოდ სრულფასოვანი ორგანიზაციაა და მას ელექტორატთან მუშაობა ხელისუფლებასთან ალიანსის გარეშეც წარმატებით შეუძლია.

გაერთიანების შემთხვევაში, ოპოზიცია ძლიერად წარმოჩინდება, სახელისუფლებო პარტია კი, რომელიც ახლად შექმნილი "ედინაია აფხაზიასგან" და თითქმის უმოქმედო "აიტაირასგან" შედგება, შესაძლოა, ძალიან სუსტი აღმოჩნდეს. თუმცა, იგივე არტურ მიქვაბია სახელისუფლებო პოლიტიკური პროექტის მიმართ ოპტიმიზმის ნაკლებობას არ განიცდის. მას, ნებისმიერ შემთხვევაში, გადაწყვეტილი აქვს, მოძრაობა "ედინაია აფხაზიას" პოლიტიკურ პარტიად რეორგანიზება მოახდინოს და აცხადებს, რომ ამას მაშინაც გააკეთებს, თუ სხვა ძალები ალიანსში შესვლაზე უარს იტყვიან.

სახელისუფლებო პარტიის შექმნის პროექტის რეალიზებას ისიც აფერხებს, რომ სახელმწიფოს ლიდერები ამ საქმეში არ მონაწილეობენ. ისინი უამრავი სხვა პრობლემით არიან დაკავებულნი და პარტიის შექმნის საკითხი მეორე პლანზე აქვთ გადატანილი.

თვალშისაცემი წარმატება (ერთიანი პოლიტიკური სტრუქტურის შექმნის თვალსაზრისით) არც ოპოზიციურ ბანაკში შეინიშნება. როგორც აქ თავად აცხადებენ, ამის მიზეზია მცირერიცხოვანი ოპოზიციური მოძრაობების ხელმძღვანელთა ამბიციები და ოპოზიციურ გაერთიანებაში ვიცე-პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას ვერშემდგარი ლიდერობა. ოპოზიციონერების თქმით, ხაჯიმბა სახელისუფლებო ვერტიკალში თვითდამკვიდრებით არის დაკავებული და ოპოზიციურ ალიანსში მონაწილეობა არ აინტერესებს.

ასეა თუ ისე, აფხაზეთის პოლიტიკური ბაზრის ორპარტიული სტრუქტურა სულ უფრო თვალშისაცემი ხდება. ხელისუფლებისა და ოპოზიციის სრულფასოვანი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებამდე ჯერ კიდევ შორია, მაგრამ მათი კონტურები ნელ-ნელა იკვეთება. რაც მთავარია, არსებობენ ძალები, რომლებიც საკუთარ თავს "ხელისუფლებად" და "ოპოზიციად" მოიაზრებენ. ამასთან, სავსებით ნათელია, რომ ინტერესთა შეუთავსებლობა და პარტიებად ჩამოყალიბების პროცესის გაჭიანურება დროებითი მოვლენაა. როდესაც პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია დაიწყება, ასეთი პარტიები უკვე იარსებებს.

იმ ძალების მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, რომლებიც სახელისუფლებო და ოპოზიციურ პარტიებად ყალიბდებიან, წინა ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაა. სახელისუფლებო პარტიაში ის ადამიანები შედიან, რომლებიც წინა ხელისუფლებას ოპოზიციაში ედგნენ ან "დროულად" მოასწრეს ძველი ხელისუფლებიდან წასვლა. ახალ ოპოზიციაში კი ის ხალხი აღმოჩნდა, ვინც ბოლო დრომდე ხელისუფლებაში იყო. თუმცა, არის რამდენიმე პერსონა, რომელიც ძველი ოპოზიციიდან ახალში გადავიდა. მათ შორის პრინციპული იდეოლოგიური დაპირისპირება არ არსებობს. თუმცა, პირველ ეტაპზე თანამშრომლობაც ნაკლებად სავარაუდოა.

საზოგადოების "პროსახელისუფლებო" ნაწილი ოპოზიციას ერთგვარად აგდებულად უყურებს, რამდენადაც ჯერ კიდევ ახსოვს წინა ხელისუფლების მცდელობები, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, შეენარჩუნებინა ძლაუფლება, აგრეთვე, საბიუჯეტო სახსრების მასშტაბური დატაცება, რაც იმ ადამიანებთან ასოცირდება, რომლებიც ახალი ოპოზიციის სახეს წარმოადგენენ. ალბათ, მხოლოდ დროს შეუძლია ასეთი განწყობის განელება. თავად ოპოზიციას კი ძველი ხელისუფლების აპოლოგეტებისგან გათავისუფლება მოუწევს.

დღეს უკვე თვალშისაცემია ოპოზიციისა და ხელისუფლების განსხვავებული მიდგომები პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის საკითხებში, რომლებიც, დროთა განმავლობაში, ალბათ, ამ ძალების პოლიტიკურ პლატფორმებად ჩამოყალიბდება. "სახელისუფლებო ხაზი" გამოიხატება ეკონომიკურ პრაგმატიზმში, ინვესტიციების მოზიდვაში, ეკონომიკის განვითარებაში. ხელისუფლება მზად არის ლიბერალური რეფორმებისთვის, ინვესტორებისთვის სახელმწიფო საკუთრების ტოტალურად მიყიდვისთვის, ისეთი კანონების მიღებისთვის, რომლებიც სამუშაო ადგილების მაქსიმალურ რაოდენობას შექმნის. ამავე კონტექსტში განიხილება საგარეო პოლიტიკური ურთიერთობებიც. რუსეთთან ურთიერთობა უკვე დღესვე განაპირობებს პოტენციური ინვესტორების მასობრივ შემოსვლას და საინვესტიციო პროექტების სასწრაფოდ გაფორმებას. აფხაზეთის ლიდერები ცდილობენ, საქართველოსთან მოლაპარაკებების პროცესი მთლიანად ეკონომიკურ სიბრტყეში გადაიტანონ. მომგებიანი ეკონომიკური პროექტების რეალიზების სანაცვლოდ, ხდება სხვადასხვა დათმობებზე წასვლისთვის მზადყოფნის დემონსტრირება. თუმცა, ბოლო დროს ზღვაში განვითარებულმა ამბებმა ოპტიმიზმი ერთგვარად გაანელა, რამდენადაც სოხუმში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რკინიგზის გახსნის საკითხში მიღწეული შეთანხმება ქართული მხარის აგრესიულ რიტორიკას შეანელებდა.

"ოპოზიციის ხაზი" ერთგვარი "პოლიტიკური იდეალიზმია". აქ ეკონომიკა პოლიტიკით არის ჩანაცვლებული. ოპოზიციამ უკვე მკაცრად გააკრიტიკა ხელისუფლების განზრახვა სახელმწიფო საკუთრების გაყიდვის დაწყებასთან დაკავშირებით. მას აშფოთებს, რომ საინვესტიციო პროექტების რეალიზებამ, შესაძლოა, უცხოური კაპიტალის მიერ ქვეყანაზე ტოტალური კონტროლის დამყარება გამოიწვიოს. რაც შეეხება საქართველოს, ამ საკითხში ოპოზიცია რადიკალურია. მათი აზრით, ქართულ მხარესთან ნებისმიერი კონტაქტი შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მიერ აფხაზეთის სუვერენიტეტის ცნობის შემთხვევაში, მანამდე კი ნებისმიერი პროექტის რეალიზება საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს უშიშროებას. ამიტომ, სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთი განსხვავებული შეხედულებები, დროთა განმავლობაში, უზრუნველყოფენ ბაზის შექმნას ხელისუფლებისა და ოპოზიციის რეალური პოლიტიკური პლატფორმების ჩამოყალიბებისთვის.

## საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "საქმინხილწყალის" განცხადება

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება წყლის, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების დეპარტამენტ "საქმინხილწყალმა" სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა ტენდერში გამარჯვებულ სს საქართველოს ი.კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრთან.

# ეროვნული ბანკი 200-ლარიანი კუპიურის გამოშვებას გეგმავს

საქართველოს ეროვნული ბანკი 200-ლარიანი კუპიურის გამოშვებას გეგმავს და იწყებს დისკუსიებს იმაზე, თუ ვინ უნდა დაამშვენოს კუპიურა, რომელიც 100-ლარიანს (რომელზეც შოთა რუსთაველია გამოსახული) და 500-ლარიანს (რომელზეც დავით აღმაშენებელს იხილავთ) შორის არის განთავსებული. ეროვნული ბანკი ცდილობს, იყოს მოულოდნელი, დაამსხვრიოს სტერეოტიპები და პირობითი რანგირების პრინციპები, უპასუხოს საზოგადოებრივ მოთხოვნასაც და იყოს ორიგინალურიც. ანუ, ეროვნული ვალუტის დღევანდელი პატრონი ბეწვის ხიდზე გავლას გეგმავს. რატომ გადაწყდა ახალი კუპიურის დაბეჭდვა? ვისი კანდიდატურები განიხილება ამ საპატიო "ადგილისთვის"? რა არგუმენტები აქვთ ამა თუ იმ ვერსიის მომხრეთ? ამ და სხვა კითხვებზე პასუხს "24 საათის" ხვალინდელ ნომერში, ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმში "24 საათის" ეგიდით ორგანიზებული "მრგვალი მაგიდის" მონაწილეებისგან მიიღებთ.

*24 საათი*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

# ჩოლოქის შესასვლელში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი გაიხსნება

დღეს ჩოლოქის შესასვლელში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის პრეზენტაცია მოეწყობა. როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარემ თემურ ზოიძემ "ჯი-ეიჩ-ენს" განუცხადა, საინფორმაციო ცენტრის ოფისის ასაგებად მთლიანად ბამბუკის მასალა იქნება გამოყენებული. ზოიძის ინფორმაციით, შარშანდელთან შედარებით, აჭარის რეგიონი წელს 2,5-ჯერ მეტ ტურისტს ელოდება. წელს აჭარის კურორტები დაახლოებით 35 ათას დამსვენებელს უმასპინძლებს. ოფიციალური მონაცემებით, გასულ წელს რეგიონში დამსვენებელთა რიცხვმა 14 ათასი შეადგინა. ზოიძის განცხადებით, 3 და 8 ივლისის მონაცემებით, აჭარის სასტუმროებში სულ 1050 ტურისტი ისვენებდა, რაც 5-ჯერ აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. მისი აზრით, ტურისტთა ნაკადის შემოდინებას ხელს შეუწყობს გასულ კვირას რუსული და უკრაინული დელეგაციების ვიზიტი აჭარაში. 13-16 ივლისს აჭარის რეგიონს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლობითი დელეგაცია ეწვია, რომელშიც სხვადასხვა ტურისტული კომპანიების, ავიაკომპანიების წარმომადგენლები, ჟურნალისტები და ოპერატორები შედიოდნენ. ზოიძის თქმით, ბოლო 15 წლის მანძილზე აჭარაში ასეთი მასშტაბის წარმომადგენლობითი დელეგაცია არ ჩასულა. დელეგაციის წევრები მოამზადებენ დოკუმენტურ ფილმს აჭარის რეგიონზე და ერთ-ერთი ცნობილი რუსული ჟურნალის მთლიანი ნომერი აჭარაში ტურისტული პოტენციალის განვითარების თემას დაეთმობა. ზოიძის განცხადებით, ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები რუსეთის გადამზიდავ ორგანიზაციებთან, რომლის ინიციატორიც რუსული ავიაკომპანია "ვასოს" გენერალური დირექტორი ბესო კვირკვიაა.

მისივე თქმით, უახლოეს დღეებში ტურიზმის დეპარტამენტი საკუთარი ვებ-გვერდისა და რუსულ ენაზე გამოცემული ჟურნალის "აჭარის" პრეზენტაციას გეგმავს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# აფხაზეთს პრივატიზაციის ტალღამ დიდი ხნის წინ გადაუარა

იმ ინფორმაციის თანახმად, რომელიც რამდენიმე წლის წინ აფხაზეთის უშიშროებამ გაავრცელა, აფხაზეთში პრივატიზაციის პროცესი ბევრად უფრო წარმატებულად განხორციელდა, ვიდრე მთელ საქართველოში. თუმცა, როგორც წესი, პრივატიზაცია ამ შემთხვევაშიც პოლიტიკური ნიშნით მოხდა. აფხაზეთის საკურორტო-დასასვენებელი კომპლექსების უმრავლესობა დროებით სარგებლობაში ან გრძელვადიანი იჯარით არის გადაცემული რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურებისა თუ კომპანიებისთვის. გაგრაში მდებარე სასტუმრო "აფხაზეთი" იჯარით აქვს აღებული სომეხი ბიზნესმენების ჯგუფს. 2002 წლის ივნისის თვეში იმავე ჯგუფმა იჯარით აიღო სანატორიუმი "გრუზია". რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთ საწარმოს იჯარით აქვს აღებული პანსიონატი "კავკასიონი". სანატორიუმი "არმენია" 2000 წელს სეპარატისტულმა ხელისუფლებამ 25 წლის ვადით იჯარით გადასცა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს, საიდანაც სანატორიუმის ანგარიშზე 4 მლნ. რუსული რუბლი გადაირიცხა.

სანატორიუმი "სამშიტოვაია როშჩა" ჯერ არძინბას ქალიშვილმა, შემდეგ კი სანატორიუმის დირექტორმა შეისყიდა, რომელიც რუს ბიზნესმენებს ლობირებდა.

გულრიფშის რაიონის სოფელ ფშაფში არსებული დასასვენებელი სახლი "ლაზური" იჯარით გადაეცა სანკტ-პეტერბურგის ერთ-ერთ დახურულ საწარმოს. რუსეთის ტურისტულმა ფირმა "გლადიოლუსმა" იჯარით აიღო სასტუმროები: "აფხაზეთი", "რიწა" და "ინტურისტის" ხანძარს გადარჩენილი ნაწილი, მანვე აამოქმედა სოხუმში განლაგებული "XX ყრილობის სახელობის" სანატორიუმი. დასასვენებელი სახლი "გაგრა" იჯარით გადაეცა სააქციო საზოგადოება "გეგე-ფ"-ის დამფუძნებლებს - ლევან არძინბას და ფარიდ ხიშბას. სანატორიუმები "საქართველო", "თბილისი" და "მაიკი" იჯარით აიღეს რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა უწყებებმა. ჯერ კიდევ 2001 წლის ოქტომბერში, აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის ატომური ენერგეტიკის სამინისტროს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, რუსულ მხარეს 15 წლით იჯარით გადაეცა დაბა ბიჭვინთაში განლაგებული "დომ ტვორჩესტვა ლიტ. ფონდა". ხელშეკრულების თანახმად, ეს ობიექტი სამინისტროს თანამშრომლებს და მათი ოჯახის წევრებს ემსახურება. აფხაზურ მხარეს კი, შეთანხმების თანახმად, ყოველწლიურად 100 ათას აშშ დოლარი უნდა მიეღო, თუმცა, უცნობია, სრულდება თუ არა ხელშეკრულების პირობები. რუსულ-აფხაზური საწარმო სავაჭრო სახლს "სუხუმ-ბაბაევსკის" ოჩამჩირის რაიონში 25-წლიანი იჯარით გადაეცა 100 ჰა მიწა, თხილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოსაყვანად. არსებული ინფორმაციით, გაგრაში ჩადიან და სახლდებიან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეები, თავიანთი ოჯახებით. თუმცა, რუსი ოფიცრები მიტოვებული სახლების შეძენას თავს არიდებენ, რადგანაც, მათი განმარტებით, ქართველების დაბრუნების შემთხვევაში საკუთრებაზე იურიდიულ უფლებას დაკარგავენ. გუდაუთის რაიონში განლაგებული პანსიონატი "მიუსერა" და გაგრის დასასვენებელი სახლი "აბსკრილი" იჯარით გადაეცა მორდვეთის რესპუბლიკის ქ. ჩერბოქსარში დაარსებულ ფირმა "ზერიოზკას". იგივე ბედი ეწია ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღში მდებარე დასასვენებელ სახლ "სოხუმს" და სოხუმის დასასვენებელ სახლ "ტყვარჩელს". ისინი ყარაჩაი-ჩერქეზეთის ქ. ჩერკესკის ფირმების - "ზარალი" და "კაგოვ გარანტი"-ს ხელში გადავიდნენ. ქ. გაგრის დასასვენებელი სახლი "სოლნეჩნი" იჯარით გადაეცა რიმა არძინბას, სლავა ბენიას, ვლადიმერ ბენიას, ხრიპს ტაბალუას. აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, გაგრის პანსიონატი "კავკასია" იჯარით გადაეცა საწარმო "იაროსლავნას", რომელიც "დნესტრისპირეთის რესპუბლიკის" ქ. ტირასპოლის "რუსეთის თანამემამულეთა" რუსული საზოგადოების შვილობილ საწარმოს წარმოადგენს. აფხაზეთის ეკონომიკური აღორძინების საბაბით, გახშირდა თურქი ბიზნესმენების მიერ უმოქმედო საწარმოების შეძენისა და ინვესტირების ფაქტები (ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროები, ბიჭვინთის საკურორტო ზონაში დასასვენებელი კომპლექსები, შავი ზღვის აკვატორიაში თევზჭერა და რეწვა, ხე-ტყის თამბაქოსა და თხილის მოსავლის დამუშავება-გატანა). სეპარატისტული მთავრობის მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთ გაფართოებულ სხდომაზე, ჯერ კიდევ 2000 წელს, მიიღეს გადაწყვეტილება ტყვარჩელის ქვანახშირის კარიერის "ხუნძგა"-ს თურქული ფირმა "ადა მადენდჟილიკ სან ლტდ-"სთვის იჯარით გადაცემის თაობაზე. კონტრაქტით გათვალისწინებული იყო, დაახლოებით, 100 ათასი ტონა ქვანახშირის გატანა, რომლის ღირებულება ერთ ტონაზე 3 დოლარს შეადგენდა. თურქულმა ფირმამ საკუთარ თავზე აიღო თურქეთიდან აუცილებელი ტექნიკისა და მოწყობილობების ჩამოტანა. შესაბამის სამსახურებს კი ოჩამჩირის ნავსადგურამდე რკინიგზის გაყვანისა და 5000 ტონა წყალწყვის მქონე გემების შემოსასვლელად ოჩამჩირის ყურეში ფსკერის გაღრმავების საკითხის მოგვარება.

მსგავსი ფაქტები კიდევ მრავლად მოიძებნება, თუმცა, მეზობელი ქვეყნების ბიზნესმენებს აზრადაც არ მოსვლიათ კონფლიქტურ ზონაში არსებული მაღალი რისკ-ფაქტორის გათვალისწინება. როგორც ჩანს, მათ რუსეთისგან საკმარისი გარანტიები აქვთ მიღებული.

პრივატიზაციის პროცესი აფხაზეთში ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც გრძელდება. ახლახან, სტალინის ყოფილი აგარაკი გაიყიდა. მყიდველი ცნობილი რუსი მილიონერია. სხვათა შორის, უცხოელ ბიზნესმენებს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებაც აფრთხილებს და ძველი მთავრობაც იგივე პოზიციას გამოხატავდა, რომ აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნების შემთხვევაში, მათი კონტრაქტები ძალადაკარგულად ჩაითვლება. როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლების განცხადებებს ტურისტული ბიზნესით დაინტერესებული ინვესტორები არ შეუფერხებია. აჭარისგან განსხვავებით, აფხაზეთში მდებარე თითქმის ყველა ტურისტული ობიექტი გასხვისებულია.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# საქართველო და აზერბაიჯანი ეკონომიკურ ურთიერთობებს აღრმავებენ

გუშინ, აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრის არტურ რასი ზადეს მიწვევით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ორდღიანი ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკას ესტუმრა. საქართველოს სამთავრობო დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში ენერგეტიკისა და ეკონომიკის მინისტრები შედიან, გუშინ ქალაქ განჯაში ჩაფრინდა, სადაც "საქართველო-აზერბაიჯანის სამთავრობათშორისი ეკონომიკური კომისიის" სხდომა გაიმართა. სხდომაზე ენერგეტიკის, ტრანსპორტის და სხვა სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილეს.

აზერბაიჯანის დედაქალაქში ზურაბ ნოღაიდელი კომპანია BP-ს აზერბაიჯანის პრეზიდენტს დევიდ ვუდვორდს და ვიცე-პრეზიდენტ მაიკ თაუსენდს შეხვდება, სადაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის წარმატებით დასრულების საკითხებს განიხილავენ. დაგეგმილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის პირისპირ საუბარი პრემიერ-მინისტრ არტურ რასი ზადესთან და აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან.

საქართველოს დელეგაციის წევრები გუშინვე დაბრუნდნენ საქართველოში, ხოლო პრემიერ-მინისტრი ბაქოში ვიზიტს განაგრძობს. ზურაბ ნოღაიდელი თბილისში დღეს საღამოს დაბრუნდება.

პრემიერ-მინისტრის აზერბაიჯანში ვიზიტის პარალელურად, განჯაში, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით, ქართულ-აზერბაიჯანული ბიზნეს-ფორუმიც მოეწყობა. როგორც პალატის პრეზიდენტმა ჯემალ ინაიშვილმა განაცხადა, ბიზნეს-ფორუმში საქართველოს მხრიდან 35 კომპანია მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც განჯაში საკუთარი საქმიანობის პრეზენტაციას მოაწყობენ.

კერძოდ, დღეს, ბაქოში საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა ქართული პროდუქციის გამოფენას "საქართველო - ღვინის აკვანი" ჩაატარებს. მასში მონაწილეობას ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები - "ვაზიანი", "თბილღვინო", "თელავის ღვინის მარანი", "მარანი", "ძმები ასკანელები" მიიღებენ. ღონისძიებაზე, ასევე, წარმოდგენილი იქნება უალკოჰოლო სასმელების კომპანიები: "წყალი მარგებელი", "ყაზბეგი", "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია", და ნავთობკომპანიები: "ნუკოილი", "კანარგო სტანდარტ ოილი" და "იბერკომპანი".

გამოფენაში მონაწილეობენ გადამზიდავი კომპანიებიც: "ჩენელ ენერჯი", "ინტერტრანსი", "პეის ჯორჯია", "ბარვილ ჯორჯია".

საბანკო სექტორიდან კი წარმოდგენილი იქნება "თი-ბი-სი" ბანკი, ფარმაცევტული კომპანია "ავერსი ნაციონალი", შაქრის მწარმოებელი კომპანია "ქართული შაქარი" და საყოფაცხოვრებო ტექნიკის ექსპორტ-იმპორტის კომპანია "ფრანკე კავკასუსი".

გარდა ამისა, გამოფენაში მონაწილეობას მიიღებს საქორწინო კაბებისა და აქსესუარების მწარმოებელი კომპანია "მარიონელა", საზღვაო და ექსპედიტორული სააგენტო "ტერო", სასურსათო პროდუქტების შემფუთველი კომპანია "არტ სტუდიო", ასევე, კომპანიები "გრები" და "გორის ხილის ექსპორტი".

როგორც საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატაში აცხადებენ, გამოფენის ბოლოს დაგეგმილია ქართველ და აზერბაიჯანელ ბიზნესმენთა შეხვედრა, სადაც კონკრეტულ ბიზნესპრობლემებზე ისაუბრებენ.

*24 საათი*

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ხაშურის რაიონის სოფელ ხალების ხიდის მშენებლობა**.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ხაშურის რაიონის ხალების თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **ხალების თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ხაშურის რაიონი,**
**სოფელი ხალების, გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი: თემურ გასიშვილი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005** წლის **21** ივლისის **10**-დან **18** საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ხაშურის რაიონი,**
**სოფელი ხალების, გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი: თემურ გასიშვილი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**
**2005 წლის 17 აგვისტოს 12:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ხარაგაულის რაიონის სოფელ ხიდარის სკოლის რემონტი.**.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ხარაგაულის რაიონის ხიდარის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **ხიდარის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ხარაგაულის რაიონი,**
**სოფელი ხიდარის, გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი: მიხეილ ბერაძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005** წლის **21** ივლისის **10**-დან **18** საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ხარაგაულის რაიონი,**
**სოფელი ხიდარის, გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი: მიხეილ ბერაძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**
**2005 წლის 17 აგვისტოს 16:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **16:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტზე

პროფესორ-მასწავლებელთა საკონტრაქტო წესით მისაღებად შემდეგ დისციპლინებში სალექციო კურსებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად:

1. ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტები - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი; - 1
2. ინვესტიციები - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი; - 1
3. სახელმწიფო ბიუჯეტის სისტემები - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი; - 1
4. ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი; - 1
5. სამართლის თეორია - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი; - 1
6. საკონსტიტუციო სამართალი - პროფესორი; - 1
7. შეპირისპირებითი სტილისტიკა (ინგლისური) - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი; - 1
8. შეპირისპირებითი გრამატიკა (ინგლისური) - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი; - 1
9. ჟურნალისტური ოსტატობისა და შემოქმედების ფაქტორები - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი; - 1
10. ჟურნალისტური შემოქმედების ფსიქოლოგია - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი; - 1
11. ტელეწამყვანის ოსტატობა (სახელოვნებო) - სპეციალისტი; - 1
12. რეპორტაჟის დრამატურგია (სახელოვნებო) - სპეციალისტი; - 1
13. რეჟისორის ოსტატობა (სახელოვნებო) - სპეციალისტი; - 1
14. დოკუმენტმცოდნეობა და საქმის წარმოება - სპეციალისტი; - 1
15. პოლიტიკური აზროვნების ისტორია - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი; - 1
16. დიპლომატიის ისტორია - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი; - 1
17. საზოგადოებრივი ურთიერთობები - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი; - 1
18. ეკონომიკური სტატისტიკა - სპეციალისტი; - 1
19. სამედიცინო სამართალი - სპეციალისტი; - 1
20. კონფლიქტოლოგია - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი; - 1
21. ამიერკავკასიის ხალხთა ისტორია - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი; - 1

აღნიშნულ საკონკურსო დისციპლინებში სამუშაოდ პროფესორ-მასწავლებლების შერჩევა მოხდება "საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საკონტრაქტო წესით თანამშრომელთა მიღების დროებითი ინსტრუქციის" საფუძველზე.

კონკურსანტები შეფასდებიან შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

სამეცნიერო ხარისხი;

სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება (პროფესორისათვის არანაკლებ 6 წელი, ასოცირებული პროფესორისათვის - 4 წელი, ასისტენტ პროფესორისათვის - 2 წელი);

საქმიანობის სფერო (სალექციო კურსები, პრაქტიკული მეცადინეობები, ლაბორატორიული სამუშაოები);

გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების რაოდენობა, მათ შორის ბოლო 10 წლის განმავლობაში (პრესტიჟული სამეცნიერო პუბლიკაციების მიხედვით).

საკონტრაქტო წესით მისაღებ კანდიდატს შეარჩევს ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის დროებითი საფაკულტეტო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება 2005 წლის 15 აგვისტომდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, მ. კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, VI სასწავლო კორპუსი, IX სართული, 909 ა ოთახი.

დამატებითი ცნობებისათვის: ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის დეკანატი.

ტელეფონი: 94-30-95.

სტუ აკადემიური პროცესების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი

# გაერო "იალტის წესრიგის" დასასრულისთვის ემზადება

*გაერო-ს რეფორმირების საკითხის განხილვა დებატების ფონზე გრძელდება. მართალია, თითქმის, ყველა ქვეყანა თანახმაა ორგანიზაციის ძირითადი ინსტიტუტის - უშიშროების საბჭოს წევრთა რიცხვის გაზრდაზე, მაგრამ ის, თუ რამდენი ახალი წევრი და, კონკრეტულად, რომელი სახელმწიფო უნდა შეუერთდეს ამ სტრუქტურას, გაურკვეველი რჩება.*

ნიკა თარაშვილი

60 წლის წინ შექმნილი გაერო-ს სტრუქტურა, ბუნებრივია, ველარ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. მეორე მსოფლიო ომის მიწურულს იალტაში მსოფლიოს იმდროინდელ ზესახელმწიფოებს შორის შეთანხმებული მსოფლიო წესრიგის უზრუნველსაყოფად შექმნილ გაერო-ს სტრუქტურას სასწრაფოდ სჭირდება რეფორმირება, მაგრამ ის, თუ როგორი უნდა იყოს მსოფლიოს ერთადერთი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია, დღემდე სადავოა.

რეფორმირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელს წარმოადგენს ორგანიზაციის ყველაზე გავლენიანი სტრუქტურის - უშიშროების საბჭოს გარდაქმნა. ეს ის ორგანოა, რომელსაც, გაერო-ს ქარტიის მიხედვით, მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებაზე პასუხისმგებლობა აკისრია. დღემდე მასში წარმოდგენილი იყო ხუთი მუდმივი წევრი (აშშ, რუსეთი, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი) და 10 - ორი წლის ვადით არჩეული ქვეყანა. ცხადია, ეს სისტემა უკვე ნაკლებად ეფექტურია, შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა წევრთა რიცხვის გაზრდის საკითხიც. მართალია, უშიშროების საბჭოს წევრთა რიცხვის გაზრდის იდეაზე, თითქმის, ყველა სახელმწიფო თანახმაა, მაგრამ ვინ და რამდენი ახალი წევრი უნდა შეუერთდეს ამ სტურქტურას, გაურკვეველი რჩება.

რეფორმის ერთ-ერთ ალტერნატივად "დიდმა ოთხეულმა" (გერმანია, ბრაზილია, ინდოეთი, იაპონია) შეიმუშავა რეზოლუციის პროექტი, რომელიც უშიშროების საბჭოში ათი ახალი კანდიდატის დამატებას ითვალისწინებს. აღნიშნული პროექტის თანახმად, ამ ათი ქვეყნიდან ექვსი (ცხადია, ოთხივე დასახელებული ქვეყნის ჩათვლით) მუდმივი წევრი იქნება. თუმცა, ოთხეულს თავისი წინადადების გატანა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ აფრიკულ სახელმწიფოთა თანხმობას მიიღებენ.

აფრიკული კავშირის 53 ხმის მისაღებად, ოთხეულის ინიციატივით, აღნიშნული ექვსი მუდმივი წევრიდან ორი აფრიკული უნდა იყოს (სავარაუდოდ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და ნიგერია). მაგრამ, სიტუაციას ის ართულებს, რომ აფრიკელებს, ოთხეულისგან განსხვავებით, არ ეთმობათ მუდმივი წევრის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტი - ვეტოს უფლება.

კვირას ნიუ-იორკში გერმანიის, იაპონიის, ინდოეთისა და ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა აფრიკელ კოლეგებთან უშედეგოდ დასრულდა. მოლაპარაკებათა ერთადერთი შედეგი კომპრომისის ძიების გარძელებაზე მიღებული გადაწყვეტილება იყო. განმეორებითი შეხვედრა 25 ივლისს ჟენევაშია დაგეგმილი.

გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა იოშკა ფიშერმა განაცხადა, რომ ერთობლივი გეგმის შესამუშავებლად ძალიან მცირე დროა დარჩენილი. "რეზოლუციის პროექტისთვის საჭიროა ხმათა ორი-მესამედი. ასე რომ, ამ დისკუსიას მარტივს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. საქმეს დიდი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ," - ხაზს უსვამს ფიშერი.

მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ რეზოლუციის დაბლოკვა ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების მხრიდან. აშშ-ც და ჩინეთიც რეფორმის ორივე ვარიანტის (ოთხეულის და აფრიკულის) წინააღმდეგ გამოდიან. რუსეთმა გასაგებად მიანიშნა, რომ "დიდი ოთხეულის" გეგმას არ დაუჭერს მხარს. თუმცა, ესეც საკამათო საკითხია: ბევრი ექსპერტი ვარაუდობს, რომ მოსკოვი თავისი ხმის სარფიანად "გაყიდვას" ცდილობს. რუსეთს უშიშროების საბჭოს გარდაქმნის ნებისმიერი ვარიანტი ხელს აძლევს; მაშინ, როცა ვაშინგტონს უშიშროების საბჭოს ახალი სქემით მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნება (ამერიკამ მხოლოდ იაპონიის მუდმივ წევრობაზე განაცხადა ოფიციალური თანხმობა).

ასე რომ, პრობლემები რჩება. ოთხეულისთვის, ისევე, როგორც აფრიკული კავშირისთვის აშკარაა, რომ ისინი გენერალურ ასამბლეაზე საჭირო ხმების ორი-მესამედის შეგროვებას ვერ შეძლებენ (191 წევრიდან, მინიმუმ, 128-მ მაინც უნდა დაუჭიროს რეზოლუციას მხარი) და, რაც მთავარია, რეზოლუციის გასატანად არც მათი გაერთიანებაა საკმარისი. გადამწყვეტი სიტყვა ისევ აშშ-ს ეკუთვნის, რომელიც გასულ თვეში აცხადებდა, რომ უშიშროების საბჭოში "ორი-სამი" ახალი წევრის დამატებას თუ დაუჭერდა მხარს.

# აშშ-სთან თანამშრომლობა ბრიტანეთს ტერორისტთა სამიზნედ აქცევს

*ცნობილმა ბრიტანულმა ორგანიზაცია "ჩატემ-ჰაუს"-მა, რომელიც ქვეყნის წამყვანი მეცნიერებითა და ყოფილი სახელმწიფო მოხელეებითაა დაკომპლექტებული, კრიტიკით სავსე მოხსენება გამოაქვეყნა ინგლისის საგარეო პოლიტიკისა და აშშ-ს მხარდამხარ წარმოებულ ანტიტერორისტულ ქმედებათა მიმართ. დოკუმენტი ძირეულად უპირისპირდება ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის შეხედულებას იმის შესახებ, რომ ერაყში არსებულ მდგომარეობასა და ბრიტანულ-ამერიკულ ალიანსს ლონდონში 7 ივლისს მომხდარ აფეთქებასთან საერთო არაფერი აქვთ. ოქმის შინაარსით ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი ჯონ რიდიც უკმაყოფილოა.*

ნანა ნასყიდაშვილი

ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა შაბათს თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ არასწორი იქნება ლონდონში მომხდარი ინციდენტის მისი მთავრობის პოლიტიკასთან დაკავშირება. თუმცა, ოქმის ავტორთა შეხედულებით, დატრიალებული ტრაგედიის ერთ-ერთ შესაძლო მიზეზად, შესაძლოა, ლონდონის მიერ ვაშინგტონის მხარდამხარ წარმოებული არათანასწორუფლებიანი ანტიტერორისტული პოლიტიკა დასახელდეს.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ქვეყნის მიერ ერაყსა და ავღანეთში წარმოებულმა სამხედრო კამპანიამ ტერორისტულ დაჯგუფება "ალ-ქაიდა"-ს საკუთარი პროპაგანდის გაზრდისა და ექსტრემისტთა წვრთნის საშუალება მისცა. "ჩატემ-ჰაუსი"-ს მოხსენებას არ იზიარებს დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი ჯონ რიდი. მისი თქმით, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები ცხადყოფს, რომ ტერორიზმი გლობალური პრობლემაა.

ორგანიზაციის მოხსენებაში ბრიტანეთის წინა მთავრობათა კრიტიკასაც ეთმობა ყურადღება. ოქმის ავტორთა აზრით, იმის გამო, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში ბრიტანეთის ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას ირლანდიის რესპუბლიკურ არმიასთან - "ირა"-სთან ბრძოლასა და ცხოველების უფლებათა დაცვას ანიჭებდა, მან მუსლიმ ექსტრემისტთა ქვეყნის ტერიტორიაზე შეღწევის აღკვეთა და შესაბამის ქმედებათა განხორციელება ვერ შეძლო. "ჩატემ-ჰაუსი"-ს ოქმში საუბარია იმაზეც, რომ 90-იან წლებში ბრიტანეთის დედაქალაქი შესანიშნავ ადგილად იქცა მათთვის, ვინც ახლო აღმოსავლეთში განსახორციელებელ ტერაქტთა დაგეგმარებითა და დაფინანსებით იყო დაკავებული. **"ბრიტანეთის მთავრობამ "ალ-ქაიდა"-ს მხრიდან მომდინარე საფრთხე სათანადოდ ვერ შეაფასა,"** - აღნიშნულია მოხსენებაში.

ბოლო წლებში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, კერძოდ - კენიაში, საუდის არაბეთში, ბალიზე, ნიუ-იორკში, ვაშინგტონში, მადრიდსა და ლონდონში მომხდარი ტერაქტები ცხადყოფს, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს აშშ-სთან კავშირს ექსტრემისტებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ნაკლებად აქვს. უსაფრთხოების საკითხთა ბევრ ექსპერტს მიაჩნია, რომ მუსლიმ ტერორისტთა სამიზნეს არა მხოლოდ დასავლეთი და მისი ფასეულობები, არამედ მთლიანობაში გლობალიზმი წარმოადგენს.

# ბალკანეთს ევროკავშირში გაწევრიანების მეტი შანსი აქვს, ვიდრე თურქეთს

როგორც "ფაინენშლ თაიმს"-თან ინტერვიუში ავსტრიის ფინანსთა მინისტრმა კარლ ჰაინც გრასერმა აღნიშნა, ხორვატიასა და ბალკანეთის სხვა სახელმწიფოებს თურქეთზე მეტი უფლება აქვთ ევროკავშირში ინტეგრაციის თვალსაზრისით. გრასერის განცხადება საყურადღებოა იმის გათვალისწინებით, რომ მომავალი წლის პირველ ნახევარში როტაციის პრინციპით თავმჯდომარე-ქვეყნის ფუნქციას ევროკავშირში ავსტრია შეითავსებს.

მაღალჩინოსნის თქმით, იმ პირობებში, როდესაც "მოლაპარაკებათა ჩარჩო" ჯერ არ შეუთანხმებია 25 წევრ-ქვეყანას, ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების პერსპექტივას რეალურს ვერ უწოდებ; თანაც, თურქეთის შემთხვევაში, არც წარსულში კარგად აპრობირებული პრაქტიკა გამოდგება, როდესაც გაერთიანებაში რომელიმე კონკრეტული ქვეყნის გაწევრიანებასთან დაკავშირებით ინტეგრაციის სრული გარანტია იყო მოლაპარაკებების დაწყება. ავსტრიის ფინანსთა მინისტრის თქმით, მომავალში გაწევრიანების ჩარჩო უფრო უნდა დაიხვეწოს, რაც ოფიციალური ანკარას იმედებს კიდევ უფრო ნაკლებად განხორციელებადს გახდის.

რაც შეეხება, უშუალოდ, ავსტრიის ხელისუფლების დამოკიდებულებას თურქეთის გაწევრიანებისადმი, გრასერის თქმით, იგი შეეცდება, მკაფიოდ გამოხატოს თურქეთის ეკონომიკური და სოციალური სტაბილიზაციის საკითხებისადმი ოფიციალური ვენის დაინტერესება, მაგრამ ამის მიუხედავად, მხარს არ დაუჭერს ოფიციალური ანკარის ევროპულ სივრცეში სრულუფლებიან წევრად მიღებას. გრასერის თქმით, თურქეთის გაწევრიანებას ევროკავშირში არ მიესალმებიან არც რიგითი ევროპელები.

**"შეცდომა იქნება ევროკავშირში თურქეთის სრულუფლებიანი წევრობის შესახებ მოლაპარაკებების წარმოება. რიგითი ევროპელების დონეზეც რომ ჩაატაროთ გამოკითხვა, დარწმუნებული ვარ, პასუხი "არა" იქნება,"** - აცხადებს ავსტრიის ფინანსთა მინისტრი.

თურქეთისგან განსხვავებით, ოფიციალური ვენა ბალკანეთის ქვეყნების მიმართ ასეთსავე დამოკიდებულებას არ ამჟღავნებს. ავსტრიის პოზიცია კარგად გამოჩნდა ევროკავშირის წევრი-ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების გუშინდელ შეხვედრაზე, რომელსაც დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეკ სთრო ხელმძღვანელობდა.

## ორი სიტყვით

**ირანი.** ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა მოჰამედ ხათამიმ გუშინ ქებით მოიხსენია, მისი თქმით, "გარდატეხის მომენტი" ერაყთან ურთიერთობაში. ხათამის ეს შეფასება ახლავს ირანში ერაყის პერმიერ-მინისტრ იბრაჰიმ ჯააფარის ისტორიულ ვიზიტს, რომლის მიზანიცაა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესება. ჯააფარი ერაყის მთავრობის პირველი ხელმძღვანელია, რომელიც ირანს ეწვია 2003 წლის აპრილში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ. ხათამის თქმით, ირანი მზადაა ყველა ზომისთვის ერაყში რეკონსტრუქციის, უშიშროებისა და სტაბილურობის ხელშესაწყობად. მოსალოდნელია, რომ ერაყის დელეგაცია და ირანელი მასპინძლები გააფორმებენ მრავალ შეთანხმებას, მათ შორის - დოკუმენტს დაზვერვის სფეროში ინფორმაციის გაცვლის შესახებ. **რადიო თავისუფლება**











დავით კოჭიშირიძის სვეტი

## ზემო წყნეთს დამსგავსებული "დინამო"

რამდენიმე დღე კიკეთში დავყავი და ორი რამ ვერ გავიგე: 1. სად არის საქართველოში ადგილი, სადაც კარგი ამინდია. თბილისში კინაღამ გავიგუდე, ხოლო ზევით სახელდახელო მარათონებს ვაწყობდი, რომ არ გავყინულიყავი (დალევა არ მიტაცებს). მათემატიკურად თუ ვიმსჯელებთ, ანუ კიკეთს დედაქალაქზე გავყოფთ, მივიღებთ ზემო წყნეთს, მაგრამ იქ სოციალური ამინდია მეტად არასახარბიელო - მატერიალურ-სნობური ფასეულობები განსაზღვრავს ტემპერატურას. ეს კი, პირადად ჩემთვის, ყველაზე მიუღებელი თერმომეტრია. 2. რატომ იბრძვიან ქართული კლუბები ევროტურნირებზე მოსახვედრად.

გაცილებით აქტუალური და საიდუმლოებით მოცული მეორე პუნქტია. მაზოხიზმი? სიჯიუტე? ევროპაში "პაეზდკა"? მთავარი მონაწილეობაა და არა გამარჯვება? წლების განმავლობაში ათასი მსგავსი ვერსია მიტრიალებდა თავში, თუმცა, ამოცანის ამოხსნა მაინც ვერ შევძელი და ბოლოს მივხვდი - ვერც ამოვხსნი, რადგან თავადაც არ იციან, რა ესაქმებათ ევროტურნირებზე. ეგ კი არა, მგონი, ისიც ვერ გამოიკვლიეს, რა პროფესიას არიან შეჭიდებულნი: სოკერს, ჰოკეის, ნარდს, კიბერნეტიკას თუ საცირკო ხელოვნებას...

ამაზე აღარც წუწუნი შემიძლია და არც ლადაობა, ამოვიდა ყელში. ერთხელ და საბოლოოდ უნდა გამოვხატო ჩემი მოკრძალებული აზრი - შეიძლება იყო ცუდი ზეინკალი, ასტროლოგი, მდივან-რეფერენტი, მაგრამ როცა ხარ ახალგაზრდა კაცი და ოცნებობ ფეხბურთელობაზე, ან კარგად უნდა ითამაშო, ანაც საერთოდ შეეშვა ამ საქმეს, რადგან არაფერია უვარგის მობურთალზე, მით უმეტეს, ასეთების ჯგუფზე შემზარავი.

■ ■ ■

ასეთ კატაკლიზმურ ვითარებაში ვინმემ უნდა იყოჩაღოს და თუ სხვა ქართულ კლუბებს არ ეწყინებათ, ეს "ვინმე" თბილისის "დინამო" უნდა იყოს. დანარჩენები ჯერ არ არიან მზად ნამდვილი ფეხბურთის სათამაშოდ - არც ფული აქვთ, არც ინფრასტრუქტურა და არც სათანადო ბიოგრაფია. "დინამოს" კი, ავად თუ კარგად, სამივე ამბავში უღხების.

დღეს ბიჭებს 0:1 აქვთ ამოსატრიალებელი და მჯერა, უეჭველად გავალთ მომდევნო წრეში. მე უფრო ის განწყობა მაშფოთებს, "ბრინდბიუსთან" დაკავშირებით რომაა შექმნილი. რატომ გვეშინია ყველასი? რატომ ვაგებთ ნებისმიერ ოდნავ სახელიან მეტოქესთან წინასწარ? რატომ იქმნება ისტერიული განწყობა, რომელიც უკიდურესად ცუდად მოქმედებს თავად ფეხბურთელებზე? ასე ხომ ვერასდროს ვერაფერს მოვიგებთ.

ქვემფიხური განწყობა აშკარად იგრძნობა თამაშამდე, შემდეგ ტელერეპორტაჟებისას, სტადიონზე - უშუალოდ პროცესში და ფინალური აკორდია გლობალური ბოღმის ნთხევა, ერთმანეთზე გადაბრალება, იდიოტური მიზეზების ძებნა მატჩის დამთავრების წამიდან. ხშირად მიგრძნია, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი მაზოხისტური ვნებით ელის წარუმატებლობას, რათა როგორმე დაიცალოს დაგროვებული ემოციებისგან.

თუ "ლევადიას" გავაცხადებთ, აღარ უნდა დავიწყოთ კანკალი იმის გამო, რომ "ბრინდბიუ" საქართველოს პირველობაზე გაცილებით მაღალი დონის ჩემპიონატის გამარჯვებულია, რომ დანიის საუკეთესო გუნდთა ლიდერებს წვრთნიან და ამით ყველაფერი დამთავრებულია.

მთელი ცხოვრება ფეხბურთს ვთამაშობ და უამრავი შემთხვევა მახსენდება, როცა მე და ჩემმა ამხანაგებმა ბევრად მაგარ ჯიგრებს ვაჯობეთ ერთადერთი მიზეზის გამო. ამ მიზეზს ვაჟკაცობა ჰქვია და ის იმდენადვე მნიშვნელოვანია ფეხბურთში, რამდენადაც ცხოვრებაში. ჩვენ თვალები ვეუბნებოდით ერთმანეთს, რომ არავითარ მეტოქეებთან არ უნდა წავაგოთ და არც ვაგებდით.

მოწინააღმდეგე ყოველთვის გრძნობს, ვინ დგას მის წინაშე და თუ მიხვდა, რომ მზად ხარ ბალახი მოღრღნა, უკვე პატივს გცემს და იზღუდება, შეიძლება დაფრთხეს კიდეც და კლასში ფორა გაანიავოს.

■ ■ ■

ფეხბურთი ჩემთვის არაფერია "დინამოზე" საყვარელი და შესაბამისად, სატკივარი. მასზე ყოველთვის ვფიქრობ და ვდარდობ, უჭირს თუ ულხინს, იგებს თუ აგებს. ის ჩემია, შენია, ჩვენია და ამიტომაც ერთად უნდა ვიზრუნოთ მასზე. თუმცა, უპირველესად, ეს დინამოელებმა უნდა გაითავისონ და სულ უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი ჩვეულებრივ გუნდში არ თამაშობენ, რომ ეს არ არის მხოლოდ მაღალი ხელფასის მისაღები ადგილი და უფრო სარფიან კლუბებში მოსახვედრი ტრამპლინი.

"დინამო" არც ფულის საკეთებელი მანქანაა. რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, როცა კლუბი მდიდრდება, მაგრამ საშინელებაა, თუ ეს მოგება ხმარდება არა ბიჭებს, განვითარებას, კიდევ უფრო მოღონიერებას, არამედ კონკრეტულ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს.

არსებობს ორი კატეგორიის საკლუბო პოლიტიკა. პირველი: ნიჭიერი ბიჭების მოძიება, მათი ფეხზე დაყენება და შემდეგ სერიოზული მოგების ნახვა უცხოეთში გაყიდვით. მეორე: ნიჭიერი ბიჭების მოძიება, მათი ფეხზე დაყენება და შემდეგ სერიოზული ჩვეულებრივი გუნდის შექმნა, გარკვეულ დონეზე სახელის მოხვეჭა და უფრო სარფიანი საერთაშორისო ბიზნესის წარმოება. "დინამო" სადღაც შუაშია გაჭედილი, არც ისეთია, არც ისეთი და არც აქვს საქმეებზე შესაბამისი მოცდელი.

სადაა ის გუნდი, უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე რომ გაავლნა? რატომ დაიშალა და გაიფანტა ალანია-ბიჭი-აბუებში? რა მოიგო ამით თავად "დინამომ"? რა მოიგეს იმ საზიზღარ კლუბებში ნასულმა ნიჭიერმა ბიჭებმა, რომლებიც ერთად გაცილებით ძლიერები იყვნენ? რა ხეირი შეიძლება ნახოს აქედან საქართველოს ეროვნულმა გუნდმა?

აი, პასუხები - ის გუნდი აღარ არსებობს. დაიშალა და გაიფანტა ზოგ-ზოგიერთთა არაპროფესიონალიზმის, სულსწრაფობის, არასაფეხბურთო ინტერესების გამო. "დინამომ" ვერაფერი მოიგო, პირიქით, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა უკან. იმ ბიჭებმა ფული იშოვეს, ვიღაცას უფრო მეტი აშოვნინეს, მაგრამ დაიღუპნენ, როგორც ფეხბურთელები. დალეწილი ფეხბურთელებისგან კი ნაკრები ვერანაირ ხეირს ვერ ნახავს.

ხედავთ, რამდენი საქმე გაფუჭდა ერთბაშად?

არადა, შეიძლება ასე ყოფილიყო - გამოცდილებაშეძენილი, კიდევ უფრო შეკრული "დინამო" წლეულს ერთი-ორად ღონიერი და სოლიდური იქნებოდა. გასისდ კი, არაა გამორიცხული, ჩემპიონთა ლიგაში ამოეყო თავი. გაიზრდებოდა დამკვიდრებელთა რაოდენობა და ხარისხი. შესაბამისად, "ალანიას" ჩაენაცვლებოდა, ვთქვათ, "ინტერ-ჰოვენი", ხოლო "ჟასმის" - "ბოლტონი". ამით ბიჭები მეტ ფინანსურ-მორალურ მოგებას მიიღებდა როგორც "დინამო", ისე დინამოელები, ხოლო საქართველოს ნაკრები მნიშვნელოვნად გაიმარჯვებდა. ეს არის და ეს.

*მომავალ შაბათამდე*

ფეხბურთი

# კახა ცხადაძე: "ლევადია" უნდა გავიაროთ"

მიხეილ აბაიშვილი

დღეს, 19 ივლისს, ბორის პაიჭაძის ეროვნულ სტადიონზე თბილისის "დინამო" ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით მატჩში ესტონეთის "ლევადიას" უმასპინძლებს. მატჩში, რომელიც საღამოს 7 საათზე დაიწყება, საქართველოს ჩემპიონი ერთი კვირის წინ ტალინში ნაგემი მარცხის (0:10 გაბათილებას შეეცდება. ვერ ვიტყვი, რომ პირველი თამაში "დინამომ" ფატალური უიღბლობის ან რაიმე სხვა სუბიექტური მიზეზის გამო წააგო. გუნდმა საკუთარ შესაძლებლობებზე აშკარად სუსტად ითამაშა. სხვა საკითხია, რომ ასეთი უსახური თამაშის მიუხედავადაც, თამაშის მსვლელობიდან გამომდინარე, ჩვენი გუნდი მარცხს არ იმსახურებდა. რომ არა ბრიტანელი მსაჯის მიერ ერთი მხრივ "დინამოს" კარში დანიშნული გამოგონილი პენალტი, ხოლო მეორე მხრივ "ლევადიას" კარში არდანიშნული თერთმეტმეტრიანი, მატჩი სულ სხვა შედეგით დასრულდებოდა. და მაინც, მსაჯის მიკერძოებულობა სრულიად არ ამართლებს საქართველოს ჩემპიონს. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ "ლევადია" "დინამოს" ფარდი მეტოქე არ არის და დღეს მაინც ყველაფერი თავის ადგილზე უნდა დააყენოს.

გუშინ დილმის საწვრთნელ ბაზაზე მატჩისწინა პრესკონფერენცია გამართა "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ.

"განმეორებითი მატჩისთვის ყველა ის ფეხბურთელი ემზადება, რომლებიც ესტონეთში იყვნენ. სამწუხაროდ, ექიმების წინასწარი დიაგნოზი გამართლდა - ნერგაძეს მუხლის ჯვარედინი იოგები აქვს დაზიანებული და სასწრაფო ოპერაციას საჭიროებს. ამ ტრავმის გამო ის ალბათ ექვსი თვით გამოგვაკლდება. თუმცა, ჩვენ ძალიან სერიოზულად ვემზადებით ხვალინდელი მატჩისთვის. გუნდმა დღეს ბოლო მოთელვა ჩაატარა, თითოეული ფეხბურთელი მზად არის და ვეცდებით, ტალინში განცდილი მარცხისთვის სრულფასოვანი რევანში ავიღოთ", - განაცხადა "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა.

"ლევადიასთან" ჩატარებული მატჩი უკეთესის სურვილს ტოვებდა. ცხადაძემ პირველი კომენტარი ცხელ გულზე, თამაშის დამთავრებისთანავე გააკეთა. გუშინ "დინამოს" მწვრთნელმა კიდევ ერთხელ გაიხსენა ის თამაში.

"თბილისში რომ ჩამოვედი, "ლევადია"-"დინამოს" მატჩის ვიდეოჩანაწერი რამდენჯერმე ვნახე. სტადიონზე ყოფნისას, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ესტონელები გარკვეულ ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ. ჩანაწერის ნახვის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ასე არ ყოფილა და ორივე ტაიმის უმეტეს დროს თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით. მსაჯის მიერ დანიშნული ყოვლად აბსურდული პენალტი რომ არა, მატჩი, სულ მცირე, ფრედ დამთავრებოდა. ამას ადასტურებს თუნდაც ის გარემოება, რომ მასპინძლებმა ჩვენი კარის მიმართულებით პირველად 43-ე წუთზე დაარტყეს. ნამდვილად არ მინდა გავამართლო ჩემი გუნდი, რომელმაც საკმაოდ უსახურად ითამაშა. ეს განსაკუთრებით შეტევის ხაზს ეხება - "დინამოს" ნახევარდაცვა-თავდასხმამ მომენტების ერთობ მწირი რაოდენობა შექმნა. ამის მიუხედავად, წასაგები თამაში ნამდვილად არ გვქონდა", - აღნიშნა კახა ცხადაძემ.

მიუხედავად იმისა, რომ "ლევადია" არ არის იმ დონის გუნდი, რომლის თუნდაც სოლიდური ანგარიშით დამარცხება "დინამოს" არ უნდა გაუჭირდეს, ესტონელები რიგ ეპიზოდებში გამართული ფეხბურთის დემონსტრირებას ახდენდნენ. გუნდს აშკარად ეტყობოდა მწვრთნელის ხელი, ისიც ნათლად ჩანდა, რომ "ლევადია" თანამედროვე ფეხბურთის თამაშს ცდილობდა.

"მასპინძლებმა არცთუ ურიგო შთაბეჭდილება დატოვეს. თქმა არ უნდა, ამის მთავარი მიზეზი უფრო "დინამოს" პასიურობა იყო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ "ლევადია" ყველა სათამაშო რგოლში თანაბრად დაბალანსებული გუნდია, რომელიც თავს კარგად იცავს და თუ შესაძლებლობა მიეცემა, სწრაფი კონტრიერიშების განხორციელებასაც ცდილობს. განსაკუთრებით გამოვარჩევ მათ მეკარეს, რომელმაც ორ ეპიზოდში აშკარა გოლებისგან იხსნა საკუთარი კარი", - ასეთი შეფასება მისცა მეტოქე გუნდს "დინამოს" დამრიგებელმა.

საკუთარი გუნდის სუსტი თამაშის განმსაზღვრელ ფაქტორად ცხადაძემ ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემები მიიჩნია.

"ძნელია, რომელიმე ერთ მიზეზს დავაბრალო ჩვენი სუსტი თამაში და მარცხი. მთავარი მიზეზი მაინც არასათანადო ფსიქოლოგიური მზადყოფნაა. სულ ერთი თვეა, რაც გუნდის ჩამოყალიბება დავიწყეთ... ფეხბურთელებს სერიოზულად ვესაუბრე. იმედი მაქვს, ამ საუბარმა შედეგი გამოიღო და ბიჭებმა პირველი მატჩიდან სწორი დასკვნები გამოიტანეს. შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები იგეგმება. უკანმოუხედავად შეტევაში წასვლას და ზურგის მოშიშვლებას არ ვაპირებთ, თუმცა, მეტოქემ პირველივე წუთებიდან უნდა იგრძნოს, თუ ვინ არის სიტუაციის ბატონ-პატრონი. უკანდასახევი გზა არ გვაქვს. "ლევდია" უნდა გავიაროთ", - ასეთი მოწოდებით დაასრულა ცხადაძემ პრესკონფერენცია, რის შემდეგაც, კიდევ ერთი ოფიციალური ცერემონიალის მომსწრენი გავხდით. "დინამომ" სასპონსორო ხელშეკრულება გააფორმა საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებელ ცნობილ თურქულ-გერმანულ ფირმა "ბეკოსთან". დღევანდელ მატჩში "დინამო" სწორედ "BEKO"-ს წარწერიანი მაისურებით იასპარეზებს. ეს კომპანია, სულ მცირე, ერთი წლის ვადით იქნება "დინამოს" გენერალური სპონსორი.

# როგორ გადავარჩინოთ დასავლეთ საქართველოს წაბლნარი

ჩვეულებრივი წაბლი საქართველოს ტყის შემქმნელ ჯიშთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და უნიკალური სახეობაა. საქართველოში წაბლის გაბატონებით არსებული ტყის ფართობი შეადგენს 105.9 ათას ჰა-ს (ქვეყნის ტყის საერთო ფართობის 3.8%), ხოლო მარაგი - 12.88 მლნ კბმ-ს (საერთო მერქნის მარაგის 2.9%). წაბლი ძირითადად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს მთისწინეებში 500-დან 1200 მ-მდე. იძლევა მაღალი ხარისხის მერქანს, რომელიც გამოირჩევა სიმტკიცითა და გამძლეობით. წაბლის ნაყოფი შესანიშნავი საკვები პროდუქტია. მერქანი, ქერქი და ფოთლები შეიცავენ 6-დან 14 %-მდე მთრიმლავ ნივთიერებებს.

სამწუხაროდ, უკანასკნელ პერიოდში საქართველოს წაბლნარებში შექმნილია უაღრესად მძიმე მდგომარეობა; გავრცელებული დაავადების გამო წაბლის კორომებს გადაშენების საშიშროება დაემუქრა. მსოფლიოში წაბლნარების ხმობისა და დეგრადაციის მთავარ მიზეზად მიჩნეულია წაბლის ქერქის კიბო და მისი გამომწვევი სოკო Cryphonectria Parazitica (Endotia parazitica). საქართველოში წაბლნარების ხმობა დაფიქსირებულია ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, ხოლო უკანასკნელი გამოკვლევებით დგინდება, რომ წაბლის კიბოს გამომწვევი სოკო ჩვენში შემოტანილი არ არის, არამედ ადგილობრივია და მართალია იგი ხმობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. მისი გააქტიურება დაკავშირებულია წაბლნარებში ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევასთან. საქართველოში წაბლნარების ხმობა აღინიშნება ყველგან, მეტ-ნაკლები ინტენსივობით.

საქართველოს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტისა და მეცნიერებათა აკადემიის ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის ინიციატივით 2004 წელს მსოფლიო ბანკის ტყის განვითარების პროექტის ფარგლებში იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში შესწავლილ იქნა წაბლნარების ფიტოსანიტარიული მდგომარეობა. ჩატარებული გამოკვლევების შედეგად გამოაშკარავდა უმძიმესი მდგომარეობა. ჯგუფური ხმობის კერებსა და გაფანტული ხმობის კორომებში დადგინდა, რომ პათოლოგიური კატეგორიების მიხედვით პირობითად საღია ხეების 43.8%, ხმობადია 40.53%, ხოლო ზეხმელია 15.6%, ანუ ხმობადი და გამხმარი ხეების საერთო რაოდენობამ მიაღწია 56.13%-ს, რაც საგანგაშო მაჩვენებელია.

წაბლნარებში დაგროვილია გამხმარი და ხმობადი ხეების დიდი ოდენობა და შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა ფართომასშტაბიანი ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის რეკომენდაციებით აუცილებელია: ა) მონიტორინგის დაწესება კორომების სატყეო-პათოლოგიურ მდგომარეობაზე; ბ) გამოვლენილი ჯგუფური ხმობისა და გაფანტული ხმობის კორომებში სანიტარიული ჭრების განხორციელება ყველა ხმელი და ხმობადი ხის მოჭრით (ჭრების განხორციელება რეკომენდებულია შემჭიდროვებულ ვადებში); გ) ტყეკაფების გაწმენდა (მოჭრილი ხეების ძირკვების გაქერქვით, შემდგომ ქერქის დაწვით ან მიწაში ჩამარხვით); დ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება ბუნებრივი განახლების ხელშეწყობით ან კულტურების გაშენებით. მდგომარეობას განსაკუთრებით ამძიმებს წაბლის უკანონო ჭრა, ტყის ქურდების ქმედება, რომლებისთვისაც სულ ერთია დაავადებული თუ ჯანსაღი ხე-ტყის მოჭრა (ორივე შემთხვევაში მერქანი სამრეწველოდ გამოსადეგია); არ ხდება იმ სანიტარიული ნორმების დაცვა, რაც აუცილებელია დაავადების გავრცელების აღსაკვეთად; მათი უკანონო ქმედებებით გაუქერქავი მერქნის ტრანსპორტირებისას ხელი ეწყობა დაავადების გადატანას და ჯანსაღ კორომებში გავრცელებას.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განხორციელდეს გადაუდებელი ღონისძიებები საქართველოს წაბლნარების გადასარჩენად. წინააღმდეგ შემთხვევაში სავარაუდოდ 5-10 წელიწადში მოსალოდნელია წაბლნარების სრული დაავადება და შემდგომ გადაშენება (რისი სამწუხარო მაგალითია, დაავადების და სანიტარიზაციის ჩაუტარებლობის გამო, საქართველოში თელას (Ulmus) გადაშენება).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი — პროფ. თ. ურუშაძე

სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის დეკანი — პროფ. გ. გაგოშიძე

მეტყევეობის და ბუნების დაცვის კათედრის გამგე — პროფ. თ. ჯაფარიძე

სატყეო ეკონომიკის, ტაქსაციის და ხე-ტყის დამზადების კათედრის გამგე — პროფ. თ. კანდელაკი

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "ენგურჰესი" აცხადებს ღია ტენდერს ჰიდროაგრეგატის მიმმართველი აპარატის ნიჩბების რეაბილიტაციაზე 24 ცალის ოდენობით.

1. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები (1 ორიგინალი, 1 ასლი) ქართულ ენაზე მიმდინარე წლის 19 ივლისის 10 საათიდან 27 ივლისის 14 საათამდე მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №89, მე-3 სართული, ენგურჰესის ოფისი. მონაცემების განხილვა შედგება იმავე დღეს იმავე მისამართზე.

2. წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირებისათვის:

მის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა, მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

მისი ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი, ან შესყიდვის მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

ფიზიკურ პირთათვის:

უნდა იყოს ქმედითუნარიანი (ცნობა შესაბამისი სამსახურიდან);

მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული, ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

დამატებითი მოთხოვნები:

ინფორმაცია ბოლო 2 წლის განმავლობაში ანალოგიური სამუშაოს ჩატარების შესახებ;

შესაბამისი ლიცენზიის ქონა;

შესრულებული სამუშაოს ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ქვეყანაში დღეს მოქმედ სტანდარტებს და ქარხანა-დამამზადებლის მოთხოვნებს;

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ არა უგვიანეს 2005 წ. 2 აგვისტოს 17 საათამდე;

ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების სიყალბის დადგენის შემთხვევაში სატენდერო კომისიას უფლება აქვს ტენდერის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს მსურველის დისკვალიფიკაცია;

ტენდერის შედეგად გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ჯეირან არონია. ტელეფონი: (877) 76 20 99, ფაქსი: (8215) 301 80.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0113 გამსახურდიას გამზ. N27 III სართ.) აცხადებს ღია ტენდერს საქართველოს შავი ზღვისპირა ტერიტორიის 535 კვ.კმ ფართობზე (ფოთი-ანაკლია-პირველი ხორგა) 1:10 000 მასშტაბის ციფრული ტოპოგრაფიული რუკის შექმნის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს. შესასრულებელია არსებული რუკის განახლება, 1942 წლის საკოორდინატო სისტემიდან UTM-ის საკოორდინატო სისტემაში გადაფორმება (14 ტრაპეცია) და ციფრული სახით ქართულ ენაზე წარმოდგენა. საბოლოო პროდუქციის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს 1:10 000 მ-ის ტოპოგრაფიული რუკის შექმნის ინსტრუქციის და სათანადო პირობითი აღნიშვნების მოთხოვნებს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა 2005 წლის 15 დეკემბერი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ შემსყიდველ ორგანიზაციაში 2005 წლის 8 აგვისტოს 17საათამდე.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ორგანიზაციის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება, არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია (რაიონული სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

ე) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანიშნულებისთვის და ძებნაში არ იმყოფებიან (საქართველოს შსს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემის ბიუროდან);

5.სატენდერო კომისიის დადგენილებით შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ შემდეგი მონაცემები:

ა) 2004 წლის აუდიტორული დასკვნა ბალანსზე;

ბ) ინფორმაცია ტექნიკური შესაძლებლობის (აღჭურვილობის) შესახებ;

გ) აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იქნეს მათ მიერ შექმნილი 1:10 000 მასშტაბის ციფრული რუკის ფრაგმენტის ამონაბეჭდი ან ჩაწერილი ინფორმაციის მატარებელზე;

დ)შესაქმნელი ტოპოგრაფიული რუკის რედაქტორისა და შემსრულებლის პროფესიული კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ (გარდა საკადასტრო დანიშნულების ტოპო-გეოდეზიური საქმიანობის თაობაზე).

6. იურიდიული პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ აღნიშნულ ვადაში არ წარმოადგენს მე-4 და მე-5 პუნქტებში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. მისი მიღება მოხდება 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ მისამართზე (ქ. თბილისი, 0113 გამსახურდიას გამზ. N27 III სართ. ოთ. N7).

8. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

9. ტენდერში გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე სატენდერო კომისიის აპარატში, ტელ. 37 90 34, 38 15 46, 38 29 52.

*სატენდერო კომისია*

# ცისარტყელას გამოყოლილი გამოფენა

## ფერეიდნელი ბავშვების გაცოცხლებული ნახატები

*გუშინ ბავშვთა სურათების გალერეაში მისული დამთვალიერებელი ფერეიდნელი ქართველი ბავშვების ნახატებს გაეცნო. გამოფენის ორგანიზატორი რეჟისორი ნოდარ ბეგიაშვილია. მთელი ეს ექსპოზიცია კი, ფაქტობრივად, მასალაა მისი მორიგი ფილმისთვის. გუშინ გამოფენის გახსნაზე რეჟისორმა ფერეიდნელი ბავშვების გაცოცხლებული ნახატებიც წარმოადგინა. ღონისძიებას ამ ნახატების ავტორებიც ესწრებოდნენ.*

ვერა ნეფარიძე

რეჟისორის ურთიერთობა ფერეიდნელ ქართველ ბავშვებთან შარშან დაიწყო, როდესაც ნოდარ ბეგიაშვილი საბავშვო ფილმების ფესტივალზე ისპაჰანში საკუთარი ფილმის საჩვენებლად ჩავიდა. საუბარია 2001 წელს გადაღებულ თხუთმეტწუთიან ნამუშევარზე "პონტო - პონტო, შავი ზღვა" (ფილმმა რამდენიმე ჯილდო მიიღო საქართველოში, გერმანიასა და ანტალიაში გამართულ კონკურსებზე; დადებითი გამოხმაურებები მოჰყვა სხვადასხვა ფილმების ფესტივალზე). "ისპაჰანიდან ბევრი აღარ მაშორებდა ფერეიდანს, არ შემეძლო იქამდე არ ავსულიყავი", - ამბობს რეჟისორი. ფერეიდანში ნოდარ ბეგიაშვილმა საინტერესო ადამიანები გაიცნო; ცხოვრობდა გიორგი მოლიაშვილთან (ქართულის მასწავლებელი ფერეიდანში). ფილმი იქაურ ბავშვებსაც უჩვენეს. "ფილმის ყურებისას ბავშვებმა ატეხეს ჟრიამული: ეს ენა გვესმისო. ისინი ხომ მე-16 საუკუნის ქართულით მეტყველებენ", - იხსენებს რეჟისორი; "პონტო - პონტო, შავი ზღვის" ნახვის შემდეგ, ფილმით შთაგონებულ ბავშვებს ხატვა დაუწყიათ. ეს ნამუშევრები რეჟისორმა თბილისში ჩამოიტანა. თუმცა, ნახატებს სხვა დატვირთვაც ექნებათ.

ნოდარ ბეგიაშვილს უნდა, რომ მორიგი ფილმი ამ ნახატების საფუძველზე შექმნას; უკვე არსებობს სცენარი, მაგრამ იმედი აქვს, რომ მისი საბოლოო შექმნაში ბავშვები მონაწილეობას მიიღებენ. ბატონი ნოადრის თქმით, "ფილმს ერქმევა "წიმა წიმა მოიდა, ქახანაში ჩაიდა", ერთ-ერთი ფერეიდნული ლექსის მიხედვით. ფათიმია ერთი გოგო, რომელსაც დახატული აქვს ცისარტყელა, რომელზეც ადის და იქიდან უყურებს თავის სოფელს. ფილმში ამ სცენას გმოვიყენებ", - ამბობს რეჟისორი.



*ნოდარ ბეგიაშვილი გამოფენის გახსნაზე.*

გუშინ გამოფენაზე პატარა ფერეიდნელების ნახატების გარდა ორგანიზატორმა მათი თბილისელ თანატოლებთან გაგზავნილი რამდენიმე წერილიც უჩვენა გალერეის სტუმრებს. "ჩემო თამო როგორ რახარ კარგუნებაზე ხარ მე ელაჰე მქვიან დედა, მამა, და ერთი ძმაო მყავ...", - ასე იწყება ერთ-ერთი ბარათი; "საქართველომდე ტყეა, ზღვაა. ცხვარმა ცურვა არ იცის. ტყეში ეშინია. შენ კი გინდა საქართველოში. შენთან", - წერია მერვეკლასელი გიორგი ორახელაშვილის ჩანახატში "შორია გურჯისტანამდე". როგორც ნოდარ ბეგიაშვილმა გვითხრა, ამ ბავშვებს საკმაოდ აქტიური მიმოწერა აქვთ ერთმანეთთან. რაც შეეხება გამოფენის ორგანიზატორს, მას ბავშვებთან თანამშრომლობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვს.

თავიდან ყველაფერი 1994 წელს დაიწყო, როდესაც გაჩნდა ბავშვების სატელევიზიო მრჩეველი "ტელევეზირი". ამგვარად შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია ასოციაცია-სტუდია "ტელევეზირი", რომელსაც ავტორები ინტერაქტიული ტელევიზიისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯად აღიქვამდნენ. გადაცემას მოჰყვა სხვადასხვა პროექტი. მათ შორის იყო ანიმაციური ფილმები ეკოლოგიურ თემებზე (ნამუშევრით "უზარმაზარი ცა... - ოზონის შრე!" ლონდონში 50 ქვეყნის გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრთა კონგრესი გაიხსნა; ამას გარდა, ფილმი "შემოდგომის ავტობუსთან" ერთად "ტასისის" ვიდეოთეკაში შეიტანეს). "პონტო - პონტო, შავი ზღვა" ასოციაციის ერთ-ერთი ბოლო პროექტია. მოკლე ხანში "ტელევეზირის" კინოფონდს კიდევ ერთი ახალი ნამუშევარი, "წიმა წიმა მოიდა" უნდა შეემატოს.


სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

### განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვიტარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ახალციხის რაიონის სოფელ ფერსას სატელევიზიო ანძის მშენებლობა.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ახალციხის რაიონის ფერსას თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **ფერსას თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ახალციხის რაიონი,**
**სოფელი ფერსას, გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი: სულიკო ვეფხვიაშვილი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005** წლის **21** ივლისის **10**-დან **18** საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **750** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ახალციხის რაიონი,**
**სოფელი ფერსას, გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი: სულიკო ვეფხვიაშვილი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**
**2005 წლის 19 აგვისტოს 14:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

### განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვიტარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ახალციხის რაიონის სოფელ ურაველის სატელევიზიო ანძის მშენებლობა.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ახალციხის რაიონის ურაველის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **ურაველის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ახალციხის რაიონი,**
**სოფელი ურაველის, გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი: ავთანდილ ოქრომელიძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005** წლის **21** ივლისის **10**-დან **18** საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **850** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ახალციხის რაიონი,**
**სოფელი ურაველის, გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი: ავთანდილ ოქრომელიძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**
**2005 წლის 19 აგვისტოს 12:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03


### მოკლედ

#### "იუნესკომ" მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხა განაახლა

"იუნესკომ" მსოფლიო მემკვიდრეობის ჩამონათვალს ახალი ძეგლები შემატა. როგორც ცნობილია, იმ სახელმწიფოების ხელისუფლება, რომელთა ტერიტორიაზეც "იუნესკოს" მემკვიდრეობის ობიექტებია, საკუთარ თავზე იღებს ამ ძეგლების შენახვის ვალდებულებებს. ეს გულისხმობს, რომ შესაბამის ადგილებში იკრძალება ტყეების გაჩეხვა, ნადირობა, თევზაობა, ასევე შეზღუდულია ტურისტების მისაზიდად სასტუმროების მშენებლობა. სწორედ ამ პირობების დაცვა მოუწევს რამდენიმე სახელმწიფოს მთავრობას. ახლახანს "იუნესკოს" ნუსხაში მოხვდა ნორვეგიული ფიორდები, ყვავილების სახელგანთქმული მდელო ინდოეთში და სენტ-კილდის კუნძულები. შოტლანდიიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარე არქიპელაგზე, შემორჩენილია 2000 წლის წინათ ნაშენები ქვის სახლები.

"იუნესკოს" ბუნებრივი ძეგლების ჩამონათვალში გვხვდება ასევე იაპონური ნახევარკუნძული შირეტოკო, ეგვიპტის უდაბნო ვადი ხიტანი და ვრედეფორტის კრატერი სამხრეთ აფრიკაში. მეცნიერების თქმით, ეს უკანასკნელი 20 მილიონი წლის წინათ გაჩნდა გიგანტური ასტეროიდის ჩამოვარდნის შედეგად. განსაკუთრებით დასაცავი ობიექტის სტატუსი მოიპოვა პანამის უნიკალურმა კუნძულმა კოიბამაც, სადაც საუკეთესოდაა შემონახული ველური ბუნების რაიონები.

#### ქურდობაში ეჭვმიტანილი

მინეაოპლისელმა მომღერალმა ჯენიფერ არმორმა სიმღერის ქურდობაში "ამხილა" ბეიონსი. არმორის მტკიცებით, მის სიმღერას ბეიონსი ასრულებს სახელწოდებით Baby Boy. არმორის თქმით, ბეიონსმა მისი ნამუშევარი Got a Little Bit of Love for You 2003 წლის მარტში მოისმინა, რის შემდეგაც მიითვისა როგორც ტექსტი, ისე მუსიკა.

ჯენიფერმა უკვე მიმართა სასამართლოს. სარჩელის განხილვა 28 ოქტომბერს დაიწყება.

სიმღერას Baby Boy ბეიონსი ვოკალისტ შონ პოლთან ერთად ასრულებს. ამ სიმღერით ბეიონსი ბრიტანულ ჩარტებში მეორე ადგილზე გავიდა; ამას გარდა, კომპოზიცია შესულია მისსავე სადებიუტო ალბომში Dangerously In Love, რომელიც 2003 წელს გამოვიდა.


სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

### განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვიტარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ახალციხის რაიონის სოფელ მინაძის სკოლის მშენებლობა.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ახალციხის რაიონის მინაძის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **მინაძის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ახალციხის რაიონი,**
**სოფელი მინაძის, გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი: ტარიელ არბოლიშვილი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005** წლის **21** ივლისის **10**-დან **18** საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ახალციხის რაიონი,**
**სოფელი მინაძის, გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი: ტარიელ არბოლიშვილი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**
**2005 წლის 18 აგვისტოს 16:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **16:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

### განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვიტარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ადიგენის რაიონის უდის საკრებულოს წყალსადენის რეკონსტრუქცია**.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ადიგენის რაიონის უდის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **უდის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ადიგენის რაიონი,**
**სოფელი უდის, გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი: თეიმურაზ ბალახაშვილი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005** წლის **21** ივლისის **10**-დან **18** საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ადიგენის რაიონი,**
**სოფელი უდის, გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი: თეიმურაზ ბალახაშვილი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**
**2005 წლის 18 აგვისტოს 13:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03


## BP-ს სითბო ლელაშხას ოჯახებში

გარდაბნის რაიონის სოფელი ლელაშხა 1989 წელს დაფუძნდა, როდესაც სვანეთში სტიქიური უბედურების გამო აქ პირველი ოჯახები ჩამოასახლეს. მას შემდეგ მოსახლეობის რიცხვი ყოველ წელს იზრდება - სვანეთიდან ჩამოსული ახალი ოჯახები ემატება და დღეისათვის თითქმის 1500 ადამიანს მიაღწია.

"ჩვენმა სოფელმა ძალიან მძიმე ზამთარი გადაიტანა: გათბობა არ გვქონდა და არც საწვავის შეძენის რაიმე საშუალება. ბუნებრივი აირის მაგისტრალი დასახლებამდე აღწევდა, მაგრამ არ გვქონდა მისი უფლება, ვინაიდან არ იყო გამრიცხველიანება. მაგრამ, როგორც წინა წლებში, ახლაც ჩვენ გვერდით აღმოჩნდა **BP**. სითბო ჩვენს ოჯახებში - მისი და მისი პარტნიორების დამსახურებაა. რაც მთავარია, სოფელს ზამთარში გაყინვა აღარ დაემუქრება" - სიხარულით აღნიშნავს ნაირა ჯანგირაშვილი, თემის საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი.

გარდაბნის რაიონი - ერთ-ერთია, სადაც ნავთობსადენის მხარდაჭერით ხალხის საკეთილდღეოდ მიმართულ პროექტებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი ასრულებს "მერსი ქორი"-ს ხელმძღვანელობით. მათ განხორციელებაში ადგილობრივი მთავრობაც იღებს აქტიურ მონაწილეობას: ამ კონკრეტულ შემთხვევაში კონსორციუმმა გაზის შიდა დაქსელვა, მთავრობამ კი - ცენტრალური მაგისტრალის გაყვანა აიღო თავის თავზე.

სოფელს მრავალი სხვა გეგმაც გააჩნია: ახალგაზრდული კლუბის და სპორტული მოედნის აშენება, საძოვრის გასარწყავიანება, დენის მრიცხველების დაყენება და შიდა გზების აღდგენა.

## სოფელ მზიანეთს გვალვის აღარ ეშინია

***"გარდაბნის რაიონის ლემშვანიერას საკრებულოს სოფელ მზიანეთის მოსახლეობა დიდ მადლობას გიხდით იმ დახმარებისა და თანამშრომლობისთვის, რომელიც თქვენ გაგვიწიეთ სარწყავი წყლით მომარაგების საქმეში. დღეისათვის მოსახლეობის ვენახები, ბაღ-ბოსტნები, ხეხილი და საძოვრები მორწყულია, მოსახლეობას ცხოვრების ხალისი დაუბრუნდა***" - ეს ციტატაა მადლობის წერილიდან, რომელიც სოფელმა - **BP**-ში და მერსი ქორში გააგზავნა.

წყალსაქაჩი წყლის სადგურის რეაბილიტაციის პროექტი ლემშვანიერაში ნავთობსადენის და მათი BTC/SCP პარტნიორების მიერ ინიცირებული და დაფინანსებული საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის (CIP-E) ფარგლებში განხორციელდა, რომელსაც აღმოსავლეთ ნაწილში არასამთავრობო ორგანიზაციების კონსორციუმი ახორციელებს მერსი ქორის ხელმძღვანელობით.

სამუშაოები ორ თვეზე მეტი მიმდინარეობდა. მათ, TAG-ის და "მერსი ქორის" ინჟინრებთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობა უძღვებოდა. ...

## ნაგები სარწყავი წყლის ნაკლებობას აღარ განიცდის

**"ნაგებში ყველაზე დიდი პრობლემა გადაწყდა და ზაფხულის აღარ გვეშინია, - ამბობს თემის საინიციატიო ჯგუფის წევრი, გარდაბნის რაიონ სოფელ ნაგების მცხოვრები მურთაზ ხაძიანი. BP-სა და არასამთავრობო ორგანიზაცია "მერსი ქორი"-ს წყალობით, რომლებიც საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამას ახორციელებენ, აშენდა წყლის სატუმბო სადგური, რომელიც დამონტაჟდა არხის პირას და წყალი აქედან ნაწილდება".**

თსჯ-ს სხვა აქტიური წევრის, ჯეინი მარგიანის თქმით, ხალხი სოფლის დატოვებაზეც კი ფიქრობდა. "აქ წყლის უქონლობის გამო ბალახი სათიბადაც კი აღარ ვარგოდა, ახლა კი მარცვლეულსაც მოვიყვანთ".

პროექტი ნავთობსადენის და მათი BTC/SCP პარტნიორების მიერ ინიცირებული და დაფინანსებული საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის (CIP-E) ფარგლებში განხორციელდა.


კომპანია "ალკონ კომ სერვისი" ა.წ. 3 აგვისტოს აწყობს საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის ჭარბი ავტოსატრანსპორტო ტექნიკის აუქციონის წესით რეალიზაციას.

აუქციონზე გამოტანილი იქნება ავტოსატრანსპორტო ტექნიკა დანართის მიხედვით. მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა მოგვმართონ წერილობით და გაიარონ რეგისტრაცია ა.წ. 22 ივლისამდე. აუქციონი იქნება ღია და მასში მონაწილეობის უფლება ექნება ნებისმიერ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს.

საკონტაქტო ტელეფონები: 899-56-58-56 გელა
39-33-49

# პირველები, მეორეები... მესამეები

## მუსიკალური ციფრები

დადგა ახალი კვირა და ჟურნალ "ბილბორდის" რჩეულებიც გამოვლინდა. უკვე მეორე კვირაა, პირველ სამეულში სიტუაცია არ იცვლება. მერაია ქერი, გვენ სტეფანი და "ბლექ აიდ ფიზ" კვლავაც უკონკურენტოდ ლიდერობენ. თუმცა, რიანა, მისი ელიოტი, კელი კლარკსონი და "ფუსიქეთ დოლზი" ახალი ძალებით უტევენ წამყვან ადგილებს.

"ბილბორდის" ცხელი ჰიტების ამ კვირის ასეულს დებიუტანტებიც ჰყავს. 48-ე ადგილზე გავიდა "ბითლზის" Sgt. Pepper's Lonely Hearts Club Band-ის პოლ მაკარტნისეული ვერსია, რომელიც მან ჯგუფ U2-სთან ერთად შეასრულა. ჩანაწერი საზოგადოებამდე კომპანია Apple-ის მუსიკალურმა მაღაზია iTunes-მა მიიტანა. სიმღერა მაკარტნიმ და U2 2 ივლისს, ლონდონში Live 8-ის კონცერტზე შეასრულეს.

რაც შეეხება ლიდერებს, მერაია ქერი უკვე თავს დიასახლისად გრძნობს. მისი We Belong Together უკვე მესამე კვირაა პირველ ადგილს არც ერთ ახლად გამოჩენილ ჰიტს არ უთმობს.

იგივე შეიძლება ითქვას გვენ სტეფანის Hollaback Girl-ზეც. ეს სიმღერა 17 კვირაა "ბილბორდის" ჩარტში "ბინადრობს", ადრე პირველ ადგილზეც გადიოდა, ახლა კი, მეორე კვირაა მეორე ადგილს სჯერდება.

"ბილბორდის" ვეტერანია "ბლექ აიდ ფიზ"-ის პოპულარული სიმღერაც Don't Phunk With My Heart. მან ჩარტში 14 კვირის წინ შეაღწია და მეორე კვირაა, მყარად დგას მესამე ადგილზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ "ბილბორდის" ეს პირველი სამეული მობილური ტელეფონების ზარებისთვის შექმნილ ოცეულშიც ლიდერობენ. მერაია ქერის We Belong Together შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ზარია, ის მეოთხე ადგილზეა, გვენ სტეფანის სიმღერა - მე-11-ზე, "ბლექ აიდ ფიზ"-ის Phunk-ი კი მე-19-ეზე. ყველაზე პოპულარულ და სასურველ ზარად კი მაინც 50 ცენტის Just a Lil Bit რჩება. უკვე მესამე კვირაა ეს სიმღერა პირველ ადგილზე გადის.

ახლა კი, ისევ "ბილბორდის" ცხელ ასეულს და ასეულში დაწინაურებულებს დავუბრუნდეთ. "ფუსიქეთ დოლზის" სიმღერამ Don't Cha, რომელსაც გოგონები ბასთა რაიმსთან ერთად მღერიან, სამი პუნქტით წაიწია წინ და მე-4 ადგილზე განთავსდა, იანას Pon de Replay-იც ოთხი პუნქტით გადაადგილდა და მე-5 ადგილს დასჯერდა.


მერაია ქერი.


"ბლექ აიდ პის"


გვენ სტეფანი

ოთხი პუნქტით დაწინაურდა მისი ელიოტიც თავისი ჰიტით Lose Control, რომელსაც ფეტ მუნ სქუფთან ერთად ასრულებს, და მე-6 ადგილზე გავიდა. მას მხარი აუბა კელი კლარკსონმაც. მისი Behind These Hazel Eyes ახალ ასეულში მე-7 ადგილზეა. საერთოდ კლარკსონს ხშირად უმართლებს ხოლმე. მისი სინგლი Breakaway უკვე მეოცე კვირაა, "ბილბორდის" ზრდასრულთა საუკეთესო ათეულის სათავეშია.

რაც შეეხება ახალ სახეებს, ასეულში რამდენიმე სხვა მომღერალთან ასევე შეაღწიეს: დევიდ ბანერის Play-მ (90-ე ადგილი) და 50 ცენტის Outta Control-ის რემიქსმა მობ დეპთან ერთად (96-ე ადგილი).

სიახლეები იყო ქანთრის ჩარტშიც. თობი ქითის სიმღერა As Good As I Once Was ორ ადგილს გადაახტა და პირველ ადგილზე მოექცა.

რაც შეეხება მაინსტრიმ როკის "ბილბორდის" ჩარტს, Seether-ის Remedy-მ პირველი ადგილი არც ამ კვირაში დაუთმო ვინმეს და მეოთხე კვირის განმავლობაში შეინარჩუნა ლიდერის სტატუსი. ამასობაში იგივე შედეგს მიაღწია Foo Fighters-ის ჰიტმა Best of You, ის მესამე კვირაა, პირველია. სიახლე არ დაფიქსირებულა არც ლათინური სიმღერების ცხელ ათეულში. იქ მეშვიდე კვირის განმავლობაში უცვლელად ლიდერობს შაკირა თავისი La Tortura-თი, რომელსაც ალეხანდრო სანცთან ერთად ასრულებს.

# ემინემი გადის

ემინემი ტურნეშია, ქალაქიდან ქალაქში დადის და ჰიპ-ჰოპის ტალღებზე აცეკვებს ფანებს. თუმცა, როგორც ჯგუფ D-12-ის წევრი Proof-ი ირწმუნება, ტურნეს დასრულების შემდეგ, ემინემი კონცერტებს აღარ გამართავს. სასცენო პერფორმანსები წარსულს ჩაბარდება, ნაცვლად ამისა ვარსკვლავი რეპერი მთლიანად მუსიკის წერას და გამოშვებას მიჰყოფს ხელს. ბოლო დღე სცენაზე 17 სექტემბერს დუბლინში გამართული კონცერტი იქნება. ირლანდია ემინემის ტურნეს უკანასკნელი პუქნტია - განუცხადა Proof-მა გაზეთ "დეტროით ფრი პრესს". Proof-ი ამბობს: "ემი მართლა ცხოვრების იმ ეტაპზეა, როცა გრძნობს, რომ რეპში ყველაფერს მიაღწია. ამაზე მეტი - აღარ არსებობს... რატომაც არა, როცა მწვერვალზე ხარ, თავს ამის უფლება ნამდვილად შეგიძლია მისცე".



ჯერჯერობით, პრესამ ემინემის ვერც ამერიკელი და ვერც ბრიტანელი პრესწარმომადგენლები ვერ მოიხელთა კომენტარისთვის. ასე რომ, ინფორმაციის ერთადერთი წყარო ისევ D-12-ელი რეპერია.

ემინემი კი მართლაც მწვერვალზე დგას. ალმასვლა კარგა ხანია, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. 2000 წელს გამოსული მისი ალბომი Marshall Mathers LP 9.8 მილიონი ეგზემპლარით გაიყიდა. გარდა ამისა, თეთრკანიან რეპერს ხუთი სოლო-ალბომი აქვს ჩაწერილი. ცალკე ამბავია ემინემისა და D-12-ის ურთიერთობები. ის ხშირად ჩნდება ამ ბიჭებთან ერთად, პარალელურად პროდიუსერობს საკუთარ ჩანაწერებსაც და ასევე ჯეი-ზის, Xzibit-ის და ფანქმასთერ ფლექსის სიმღერებსაც. ემინემის მენეჯერის პოლ როზენბერგის თქმით, ჯერჯერობით, ოფიციალური გადაწყვეტილება მიღებული არ აქვთ, თუმცა, ის კი ფაქტია, რომ რეპერის ბოლო ალბომი Encore "კარიერის ამ ნაწილის ლოგიკური დასკვნაა".

რაც შეეხება ტურნეს, მას Anger Management ჰქვია, იგივე ბრაზის გაკონტროლება. თუმცა, მოვლენების სრული კონტროლი ემინემმა მაინც ვერ შეძლო. მიზურის შტატის გზატკეცილზე ხუთშაბათს ტურნეს კუთვნილი ავტობუსი ავარიაში მოჰყვა და 11 ადამიანი დაშავდა. მოგზაურობა მაინც გრძელდება. როგორც მოგახსენეთ, ემინემი შინ სექტემბერში დაბრუნდება, დუბლინის ციხე-სიმაგრეში გამართული კონცერტის შემდეგ. ფანები კი წინასწარ ნერვიულობენ იმაზე, რომ ზამთრის გადატანა ემინემის ცოცხალი კონცერტების გარეშე მოუწევთ.


ცნობა

61-ე საშუალო სკოლის განვითარების ფონდი 2005 წლის პირველი ივლისიდან წყვეტს მუშაობას.

ფონდის გამგეობის წევრები



დაიკარგა სახლის საბუთები
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ბინის საცხოვრებელი ფართის შესახებ, რომელიც მდებარეობს ფალიაშვილის ქ. 44/5-ში.
მპოვნელს ვთხოვთ დამიკავშირდეს ტ: 899 98 50 73.
ნ. სიორიძე









შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამორჩეული სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოხატო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------------------------------------

მისამართი ----------------------------------------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------------------------------------

დაბადების თარიღი ----------------------------------------

სკოლა ----------------------------------------

კლასი ----------------------------------------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------------------------------------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------------------------------------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------------------------------------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი   უ ფ ა ს ო ა



სახელი ____
გვარი ____
ასაკი ____
სიმაღლე ____
მისამართი ____
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი ____

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაოჯახებული
დაუოჯახებელი
განქორწინებული
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა როგორ ტელეთამაშებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა როგორ ინტელექტუალურ კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დახარჯავ არ მიიღება)

12 როგორ შეაფასებთ თავს ზოგადი ცოდნის კუთხით ?

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ?

ხელმოწერა ____ თარიღი ____

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

თქვენი ფოტოსურათი